

**შპს „ჯეოსელში“ (ს/კ 203841940) 100%-იანი წილის გასხვისებისა და ამ წილის სს „სილქნეტის“ (ს/კ 204566978) მიერ შექმნაზე თანხმობის მიცემის საკითხის განხილვის შესახებ**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიას ერთობლივი განცხადებით (№431/05-8 229.01.2018; 2/039-18 29.01.2018; კომისიაში რეგისტრაციის №6/456-18 29.01.2018) მიმართეს შპს „ჯეოსელში“ და სს „სილქნეტმა“, შპს „ჯეოსელში“ 100%-იანი წილის გასხვისებისა და ამ წილის სს „სილქნეტის“ მიერ შექმნაზე კომისიისაგან წინასწარი თანხმობის მიღების მოთხოვნით.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის 2018 წლის 6 თებერვლის №57/23 გადაწყვეტილებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შპს „ჯეოსელში“ (ს/კ 203841940) 100%-იანი წილის გასხვისებისა და ამ წილის სს „სილქნეტის“ (ს/კ 204566978) მიერ შექმნის გამოკვლევის თაობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილების შესაბამისად, ზეპირი მოსმენის სხდომის თარიღად განისაზღვრა 2018 წლის 6 მარტი.

კომისია აღნიშნავს, რომ შპს „ჯეოსელი“ წარმოადგენს ავტორიზებულ პირს და მას ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეებზე:

**A.F.1. ადგილობრივი დაშვების (სადენიანი) ქსელითა და/ან (სადენიანი) ქსელის ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა**

სპილენძის წყვილების ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა;

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა;

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

**A.F.2. ადგილობრივი დაშვების (უსადენო) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა**

რადიოსიხშირული, ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის შესაბამისი ელემენტებისა და საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა;

**A.F.3. ძირითადი საკომუტაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა**

არხული საკომუტაციო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა;

პაკეტური საკომუტაციო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

**A.M.1. ფიჭური ორგანიზების ტიპის საკომუნიკაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა**

GSM

WCDMA

LTE

**A.S.1. თანამგზავრული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა**

თანამგზავრული საკომუნიკაციო სისტემის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

**B.F.2. ინტერნეტ მომსახურება**

3G

სხვა

ოპტიკური ქსელით ინტერნეტ მომსახურება

**B.M.1. მოძრავი საკომუნიკაციო სისტემების აბონენტების სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება**

ადგილობრივი და მოძრავი საკომუნიკაციო სისტემების აბონენტებთან სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება

მოძრავი საერთაშორისო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება

როუმინგული კავშირით მომსახურება

**B.M.2. მოძრავი საკომუნიკაციო სისტემების აბონენტების გაფართოებული მომსახურებით უზრუნველყოფა**

ტექსტური შეტყობინების მომსახურება;

მულტიმედიური მომსახურება;

ციფრული მონაცემების გადაცემის მომსახურება (GPRS და სხვა)

მოძრავი ინტერნეტ მომსახურება;

მოძრავი ტრანზიტული მაუწყებლობის მომსახურება.

**B.S.3. თანამგზავრული ინტერნეტ მომსახურება**

თანამგზავრული ინტერნეტ მომსახურება.

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ სს “სილქნეტი“ წარმოადგენს ავტორიზებულ პირს და მას ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეებზე:

**A.F.1. ადგილობრივი დაშვების (სადენიანი) ქსელითა და/ან (სადენიანი) ქსელის ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა**

სპილენძის წყვილების ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა;

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა;

სპილენძის წყვილებით ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა;

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

**A.F.2. ადგილობრივი დაშვების (უსადენო) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა**

რადიოსიხშირული, ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის შესაბამისი ელემენტებისა და საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

**A.F.3. ძირითადი საკომუტაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა**

არხული საკომუტაციო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა;

პაკეტური საკომუტაციო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

**A.F.4. მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემის სახაზო (სადენიანი) გატარების საშუალებებითა და/ან მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული (სადენიანი) სისტემების ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა**

ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური სახაზო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალური საშუალებებს ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

სპილენძის წყვილების მაგისტრალური სახაზო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

სპილენძის წყვილების მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

**A.F.5. მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემის (უსადენო) გატარების საშუალებებით უზრუნველყოფა**

რადიოსიხშირული მაგისტრალური არხებისა და შესაბამისი ელემენტების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

**A.F.6. საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებით უზრუნველყოფა**

საკანალიზაციო არხების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

**A.F.7. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ელემენტების გაფართოებული რესურსებით უზრუნველყოფა**

საბილინგო მონაცემთა ბაზების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა;

სააბონენტო (მომხმარებელთა) მონაცემთა ბაზების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა;

ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების საოპერაციო პროგრამული მართვის საშუალებებით, მათი ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა;

ელექტრონული პაკეტური საკომუნიკაციო ქსელების საოპერაციო პროგრამული მართვის საშუალებებით (SIP, H323 ), მათი ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა;

ძირითადი საკომუნიკაციო ქსელების ურთიერთჩართვის გარდამქმნელი ტერმინალური ადჰუვილობის (IP TV, IP ტელეფონია) ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა;

ელექტრონული საკომუნიკაციო ანძების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

**A.M.1. ფიჭური ორგანიზების ტიპის საკომუნიკაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა**

CDMA  
LTE  
WIMAX  
WiFi

**A.S.1. თანამგზავრული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა**

თანამგზავრული საკომუნიკაციო სისტემის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

**B.F.1. ფიქსირებული საკომუნიკაციო სისტემის აბონენტების სატელეფონო ხმოვანი კავშირით მომსახურება**

ადგილობრივი სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება;  
საერთაშორისო სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება;  
საქალაქთაშორისო სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება;  
ტექსტური შეტყობინების მომსახურება.

**B.F.2. ინტერნეტ მომსახურება**

სპილენძის წყვილებით ინტერნეტ მომსახურება (DSL);  
CDMA  
ოპტიკური ქსელით ინტერნეტ მომსახურება;  
კომუტირებადი არხებით ინტერნეტ მომსახურება (dial-up);  
Wi Max  
WiFi

ბოლო მომხმარებლების ინტერნეტ ჰოსტინგის მომსახურება.

**B.F.3. მონაცემთა გადაცემა**

მონაცემთა გადაცემა

**B.F.4. მაუწყებლობის ტრანზიტი**

ტელემაუწყებლობის ტრანზიტი

**B.F.6. გამოძახებით აუდიო ვიზუალური მომსახურება (video on demand)**

გამოძახებით აუდიო ვიზუალური მომსახურება (video on demand)

**B.M.1. მოძრავი საკომუნიკაციო სისტემების აბონენტების სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება**

ადგილობრივი და მოძრავი საკომუნიკაციო სისტემების აბონენტებთან სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება

მოძრავი საერთაშორისო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება.

**B.M.2. მოძრავი საკომუნიკაციო სისტემების აბონენტების გაფართოებული მომსახურებით უზრუნველყოფა**

ტექსტური შეტყობინების მომსახურება;  
მულტიმედიური მომსახურება.  
ციფრული მონაცემების გადაცემის მომსახურება (GPRS და სხვა);  
მოძრავი ინტერნეტ მომსახურება;  
მოძრავი ტრანზიტული მაუწყებლობის მომსახურება;  
სხვა მოძრავი საკომუნიკაციო მომსახურება;

B.S.2. ციფრული მონაცემების გადაცემის მომსახურება თანამგზავრული არხით

ციფრული მონაცემების გადაცემის მომსახურება თანამგზავრული არხით.

B.S.3. თანამგზავრული ინტერნეტ მომსახურება

თანამგზავრული ინტერნეტ მომსახურება.

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ სს „სილქნეტი“ წარმოადგენს მაუწყებლობაზე ავტორიზებულ პირს.

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ სს „სილქნეტი“ ფლობს:

**1) რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F11 ლიცენზიას შემდეგი სალიცენზიო პირობებით:**

ა) რადიოსიხშირული სპექტრი: 827,955 მჰც÷831,645 მჰც და 872,955 მჰც÷876,645 მჰც;

ბ) დანიშნულება: მობილური და ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურებისთვის;

გ) გეოგრაფიული ზონა: საქართველო;

დ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2023 წლის 23 ივლისამდე;

**2) რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F48 ლიცენზიას შემდეგი სალიცენზიო პირობებით:**

ა) რადიოსიხშირული ზოლი: 2299 მჰც ÷ 2350 მჰც უსადენო რადიოდამზვების ქსელით (მრავალარხიანი მრავალწერტილოვანი განაწილების სისტემა) მომსახურებისთვის ქ.თბილისში;

ბ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 05.05.2026;

**3) რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F53 ლიცენზიას შემდეგი სალიცენზიო პირობებით:**

ა) რადიოსიხშირული ზოლი: 2300 მჰც-დან - 2350 მჰც-მდე სიხშირულ დიაპაზონში;

ბ) გეოგრაფიული არეალი: საქართველოს ტერიტორია (ქ.თბილისის, ქ.ქუთაისის, სამტრედიის, ვანის, ბაღდათის, ტყიბულის, ხარაგაულის, საჩხერის, ჭიათურის, ცაგერის, ამბროლაურის, მარტვილის, სენაკის, აბაშის, თერჯოლის, ზესტაფონის, ხონის რაიონებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა);

გ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2027 წლის 18 იანვრის ჩათვლით;

**4) რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F98 ლიცენზიას შემდეგი სალიცენზიო პირობებით:**

ა) რადიოსიხშირული ზოლი: 2300 მჰც-დან - 2350 მჰც-მდე სიხშირულ დიაპაზონში;

ბ) გეოგრაფიული არეალი: ქ. ქუთაისის, სამტრედიის, ვანის, ბაღდათის, ტყიბულის, ხარაგაულის, საჩხერის, ჭიათურის, ცაგერის, ამბროლაურის, მარტვილის, სენაკის, აბაშის, თერჯოლის, ზესტაფონის და ხონის მუნიციპალიტეტები;

გ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2026 წლის 11 აგვისტოს ჩათვლით;

**5) რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F36 ლიცენზიას შემდეგი სალიცენზიო პირობებით:**

ა) რადიოსიხშირული სპექტრი: ა.ა) 11.294გჰც - 11.883 გჰც შემდეგ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში: ბათუმი, ქობულეთი, ფოთი, სამტრედია, სენაკი, ლანჩხუთი, ჩოხატაური და ოზურგეთი;

ა.ბ) 11,700 - 12,289 გჰც შემდეგ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში: თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ჭიათურა, მცხეთა, გორი, კასპი, ხაშური, ხარაგაული, ზესტაფონი, საჩხერე, თერჯოლა, ტყიბული, აბაშა, ხობი, ზუგდიდი, მარტვილი, ჩხოროწყუ, წალენჯიხა, ხულო, ქედა, ხელვაჩაური, დუშეთი, ახალგორი, თიანეთი, ყაზბეგი, ონი, ამბროლაური, ლენტეხი, ცაგერი, მესტია, გალი, ოჩამჩირე, სოხუმი, გარდაბანი, მარნეული, თეთრიწყარო, ბოლნისი, დმანისი, წალკა, ცხინვალი, ბორჯომი, ასპინძა, ახალციხე, ახალქალაქი, ვანი, ბაღდათი, ხონი, წყალტუბო, ნინოწმინდა;

ა.გ) 11.359გჰც – 11672გჰც და 12.228გჰც – 12.289გჰც ქ.თელავში და ყვარელში;

ა.დ) 11083 მჰც ÷ 11672 მჰც - ახმეტის, გურჯაანისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტებში; 12228 მჰც ÷ 12817 მჰც დედოფლისწყაროს და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში;

ბ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2026 წლის 1 დეკემბრამდე;

გ) რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F36 ლიცენზიის მფლობელმა 11.7-12.5 მჰც სიხშირეებზე ფუნქციონირებისას არ უნდა გამოიწვიოს საზიანო ინტერფერენციები სამაუწყებლო-თანამგზავრული სისტემების მიმართ, და ასევე, არ უნდა მოითხოვოს დაცვა სამაუწყებლო-თანამგზავრული სისტემებისაგან

**6) რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F54 ლიცენზიას შემდეგი სალიცენზიო პირობებით:**

ა) რადიოსიხშირული სპექტრი: ა.ა) სიხშირული ზოლი: 12317 მჰც ÷ 12905 მჰც შემდეგ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში: კასპი, ქარელი, ხაშური, გორი, ცხინვალი, დუშეთი, ყვარელი, თელავი, ლაგოდეხი, ახმეტა, სიღნაღი, გურჯაანი;

ა.ბ) სიხშირული ზოლი: 11191 მჰც ÷ 11667 მჰც შემდეგ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში: თბილისი, მცხეთა, ზესტაფონი, ქუთაისი, ჭიათურა, საჩხერე, გარდაბანი, თეთრი წყარო, დმანისი, ბოლნისი, საგარეჯო, დედოფლისწყარო;

ა.გ) სიხშირული ზოლი 10705 მჰც ÷ 11293 მჰც შემდეგ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში: თერჯოლა, ტყიბული, ბაღდათი, ხონი, სამტრედია, აბაშა, ლანჩხუთი, ოზურგეთი, ჩოხატაური, ფოთი, ქობულეთი, ხელვაჩაური, ხულო, ბათუმი, ონი, ამბროლაური, ახალქალაქი, ახალციხე, ნინოწმინდა, თიანეთი, წალკა, ყაზბეგი, სენაკი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, ზუგდიდი, ცაგერი, ლენტეხი, მესტია, გალი, სოხუმი, გაგრა, გულრიფში, ოჩამჩირე, გუდაუთა, ტყვარჩელი;

ბ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2026 წლის 9 დეკემბრამდე;

გ) რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F54 ლიცენზიის მფლობელმა 12.5-12.75 მჰც სიხშირეებზე ფუნქციონირებისას არ უნდა გამოიწვიოს საზიანო ინტერფერენციები ფიქსირებული-თანამგზავრული სისტემების მიმართ, და ასევე, არ უნდა მოითხოვოს დაცვა ფიქსირებული-თანამგზავრული სისტემებისაგან.

კომისია აღნიშნავს, რომ შპს „ჯეოსელი“ ფლობს:

**1) რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F17 ლიცენზიას შემდეგი სალიცენზიო პირობებით:**

ა) რადიოსიხშირული სპექტრი: 890-901.8 მჰც და 935-946.8 მჰც (სულ 23.6 (2x11.8) მჰც );

ბ) გეოგრაფიული არეალი: საქართველო;

გ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2015 წლის 1 თებერვლიდან 2030 წლის 1 თებერვლამდე;

**2) რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F18 ლიცენზიას შემდეგი სალიცენზიო პირობებით:**

ა) რადიოსიხშირული სპექტრი: 1710-1725 მჰც და 1805-1820 მჰც, 1725.1-1740 მჰც და 1820.1-1835 მჰც (სულ 59.8 (2 x 29.9) მჰც);

ბ) გეოგრაფიული არეალი: საქართველო;

გ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2015 წლის 1 თებერვლიდან 2030 წლის 1 თებერვლამდე;

### **3) რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F24 ლიცენზიას შემდეგი სალიცენზიო პირობებით:**

ა) რადიოსიხშირული სპექტრი: 1950-1965 მჰც და 2140-2155 მჰც (სულ 30 (2x 15) მჰც);

ა.ა) გეოგრაფიული არეალი: საქართველო;

ა.ბ) ამოწურვადი რესურსით სარგებლობის ვადა: 2015 წლის 1 თებერვლიდან - 2030 წლის 1 თებერვლამდე;

### **რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალურ ოდენობის შეფასება**

სს „სილქნეტი“ ე.წ. 850 მჰც დიაპაზონში (№F11 ლიცენზია-23. 07. 2023-მდე) ფლობს 7.38 მჰც (2 x3.69) რესურსს და ახორციელებს CDMA ტექნოლოგიით უსადენო ფიქსირებული და მობილური მომსახურების მიწოდებას.

რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის თანახმად №F11 ლიცენზიით განსაზღვრული (827.955-831.645 მჰც და 872.955-876.645 მჰც) სიხშირული რესურსი დროებით სარგებლობაშია CDMA- 850 (სისტემა კოდური დაყოფით და მრავალჯერადი დაშვებით) ტექნოლოგიისათვის. №F11 ლიცენზიის ვადის გასვლის/გაუქმების შემდეგ აღნიშნული სპექტრით (3GPP -ის Band 5) სიხშირეების დანაწილება, რომელიც არათავსებადია 800-900 მჰც დიაპაზონების დანაწილების (ევროპის ფარგლებში არსებულ) სტანდარტულ სქემებთან (3GPP -ის Band 8 და 20), აღარ შენარჩუნდება.

დამატებით, ე.წ. 2.3. გჰც დიაპაზონში (3 GPP -ის Band 40) სს „სილქნეტი“ №F48, №F53 და №F98 ლიცენზიებით საქართველოს მასშტაბით ფლობს 50 მჰც სიხშირულ რესურსს და LTE (TDD) ტექნოლოგიით ახორციელებს ფიქსირებულ მისამართზე უსადენო ფართოზოლოვანი მომსახურების მიწოდებას. მოცემული 2.3 გჰც დიაპაზონი, დღეს, ევროკავშირის ფარგლებში არ არის ჰარმონიზებული, თუმცა ჰარმონიზაციის მიზნით, გადადგმულია ნაბიჯები; 2014 წელს, ევროკომისიის მოთხოვნის საფუძველზე, CEPT -ის ელექტრონული კომუნიკაციების კომიტეტმა (ECC) მიიღო შესაბამისი რეკომენდაცია ECC/REC/(14) და გადაწყვეტილება 04ECC/DEC/(14)02, რომლის შესაბამისადაც CEPT -ის წევრი ქვეყნები, სურვილისა და შესაძლებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფენ ე.წ. 2.3 გჰც დიაპაზონის უსადენო/ფართოზოლოვანი სისტემებისათვის გამოყენებას. ITU-ს რადიო რეგულაციების მიხედვით კი 2300-2400 მჰც დიაპაზონი (ITU-ს სამივე რეგიონისათვის, მათ შორის პირველი

რეგიონისათვის, რომელსაც მიეკუთვნება საქართველო და ევროპა) ე.წ. co-primary (სხვა მომსახურებებთან ერთობლივად პირველადი გამოყენების) საფუძველზე უკვე წლებია განაწილებულია IMT მომსახურებისათვის. საქართველოს რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის თანახმად ე.წ. 2.3 გჰც დიაპაზონი სხვა მომსახურებებთან ერთად პირველადი გამოყენების საფუძველზე განაწილებულია ფიქსირებული და მობილური ფართოზოლოვანი სისტემებისთვის (MFCN) CEPT -ის ECC/DEC/(14)02 და ECC/REC/(14)04-ის დოკუმენტებით განსაზღვრული ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად.

შპს „ჯეოსელი“, 2030 წლის 1 თებერვლამდე, უსადენო ფართოზოლოვანი სისტემებისათვის ჰარმონიზებულ ე.წ. 900მჰც, 1800მჰც და 2100მჰც დიაპაზონებში (№F18, №F17 და №F24 ლიცენზიებით) ფლობს რადიოსიხშირულ რესურსს, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა (GSM, UMTS და LTE) ტექნოლოგიებით უზრუნველყოფს მობილური მომსახურების მიწოდებას. კერძოდ შპს „ჯეოსელი“ ე.წ. 900 მჰც დიაპაზონში ფლობს 23.6 (2x11.8) მჰც რესურსს, ე.წ. 1800 მჰც დიაპაზონში - 59.8 (2 x 29.9) მჰც, ხოლო დაწყვილებულ 2100 მჰც დიაპაზონში- 30 (2x 15) მჰც რადიოსიხშირულ სპექტრს.

რაც შეეხება სს „სილქნეტისა“ და შპს „ჯეოსელის“ სარგებლობაში არსებული რადიოსიხშირული რესურსის (შესაბამისი დიაპაზონების) ურთიერთჩანაცვლებადობის საკითხს, უნდა აღინიშნოს, რომ:

ა) სს სილქნეტის სარგებლობაში არსებული CDMA 850 ტექნოლოგიისათვის განსაზღვრული რესურსი (რომელიც ეროვნული გეგმის თანახმად დროებით სარგებლობაშია) არ წარმოადგენს ჰარმონიზებული 700 მჰც, 800მჰც და 900 მჰც დიაპაზონებში არსებული სიხშირეების ურთიერთჩანაცვლებად რესურსს და მისი გამოყენება (აგრეგაცია) შეუძლებელია ევროპის ფარგლებში არსებული სტანდარტული დანაწილების სქემის შესაბამისად 800მჰც ან 900 მჰც დიაპაზონებში აგებული ქსელის ფარგლებში;

ბ) მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. 2.3 გჰც დიაპაზონი, დღეს, არ არის ევროკავშირის მასშტაბით ჰარმონიზებული, საქართველოს რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის თანახმად, სხვა მომსახურებებთან ერთად, პირველადი გამოყენების საფუძველზე, განაწილებულია ფიქსირებული და მობილური ფართოზოლოვანი სისტემებისათვის (MFCN) CEPT -ის ECC/DEC/(14)02 / ECC/REC/(14)04-ის დოკუმენტებით განსაზღვრული ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად და საქართველოში ხელმისაწვდომი, 1 გჰც-ს ზემოთ არსებული, ჰარმონიზებული სიხშირული დიაპაზონების (1800, 2100, 3.4-3.8) მსგავსი მახასიათებელი გააჩნია. შესაბამისად, განსაკუთრებით მომავალი პერსპექტივის გათვალისწინებით, შესაძლებელია, 2.3 გჰც დიაპაზონი ჩაითვალოს ამგვარი დიაპაზონების ურთიერთჩანაცვლებად დიაპაზონად.

იმის გათვალისწინებით, რომ სს „სილქნეტი“ და შპს „ჯეოსელი“ არც ერთ სიხშირულ დიაპაზონში ერთობლივად არ ფლობენ რადიოსიხშირულ რესურსს, ტრანზაქციის განხორციელების შემთხვევაში კონკრეტული დიაპაზონების ჭრილში სიხშირეების განაწილების მაჩვენებლები უცვლელი დარჩება.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, სს „სილქნეტის“ და შპს „ჯეოსელის“ 2018 წლის 20 თებერვლის წერილით (კომისიაში წერილის რეგისტრაციის №მ-6/928-18 ), კომისიაში წარმოდგენილ იქნა შემდეგი სახის ინფორმაცია:

- მოკლევადიანი და გრძელვადიანი ბიზნეს სტრატეგიული გეგმები;
- კომპანიების ბოლო ერთი წლის ფინანსური ანგარიშგებები;
- კომპანიების ბოლო ერთი წლის მმართველობითი აღრიცხვის (Managerial Accounting) ანგარიშები;
- შპს „ჯეოსელსა“ და სს „სილქნეტს“ შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების წინასწარ შეთანხმებული პირობები;
- ტრანზაქციასთან დაკავშირებით შპს „ჯეოსელისა“ და სს „სილქნეტის“ აქციონერთა ან/და პარტნიორთა კრების ოქმები;
- კომპანიაში დღეის მდგომარეობით არსებული სამაუწყებლო სატრანზიტო, ფიქსირებული და მობილური სატელეფონო ხმოვანი და ინტერნეტის საცალო მომსახურების დეტალური აღწერა;
  - კომპანიის მიერ ბოლო სამი წლის განმავლობაში სხვა ავტორიზებული პირებისათვის გაწეული რეგულირებადი საბითუმო მომსახურების დეტალური დახასიათება;
  - ინფორმაცია ბოლო სამი წლის განმავლობაში კომპანიის სატელეკომუნიკაციო მომსახურების ძირითადი მომწოდებლების სიის შესახებ, რომლის ბრუნვა წლის განმავლობაში აღემატება 500 000 ლარს;
  - ინფორმაცია მიმდინარე დავების შესახებ;
  - ინფორმაცია საბანკო სესხების შესახებ.

კომისია აღნიშნავს, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის 26-ე და 27-ე მუხლები გამოიყენება:

- ა) თუ ხდება ავტორიზებული პირის საოპერაციო აქტივის შექმნა;
- ბ) თუ შერწყმის შედეგად ერთიანდება ორი ან მეტი პირი, რომელთაგან ერთ-ერთი ავტორიზებული პირია;
- გ) თუ ხდება ავტორიზებული პირის წილის ან აქციების შექმნა და თუ მათი შექმნის შედეგად შემქმნი პირის ან/და ურთიერთდამოკიდებულ (ავილირებულ) პირთა მფლობელობაში ჯამში აღმოჩნდება ავტორიზებული პირის წილის ან აქციების 5 პროცენტი ან მეტი.

კომისია აღნიშნავს, რომ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, შპს „ჯეოსელის“ წილის 100%-ის მფლობელია „გურტელის სატელეკომუნიკაციო კაპიტალისა და საგარეო ვაჭრობის სააქციო საზოგადოება“, თურქეთი („Joint Stock Company Gurtel Telekomunikasyon Yatirim Ve Dis Ticaret A.S“, Turkey). კომპანიის გენერალური დირექტორია პაველ ტომამ სმალინსკი.

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ სს „სილქნეტის“ ფასიანი ქაღალდების რეესტრიდან ამონაწერის თანახმად სს „სილქნეტის“ აქციების 100%-ის მფლობელია არარეზიდენტი იურიდიული პირი “Rhinestream Holdings Limited” (“რაინსტრიმ ჰოლდინგს ლიმიტედ“).

სს „სილქნეტი“ 2018 წლის 29 იანვრის №431/05-8 წერილის თანახმად “Rhinestream Holdings Limited“-ის პარტნიორები არიან: გიორგი რამიშვილი (წილის 61,9%-ის მფლობელი); ალექსი თოფურია (წილის 28,58% მფლობელი) და დავიდ ბორგერი (წილის 9,52%-ის მფლობელი). კომპანიის გენერალური დირექტორია დავით მამულაიშვილი

კომისიის ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრის მონაცემების თანახმად, შპს „ჯეოსელი“, ასევე შპს „ჯეოსელის“ წილის 100%-ის მფლობელი „გურტელის სატელეკომუნიკაციო კაპიტალისა და საგარეო ვაჭრობის სააქციო საზოგადოება“ სხვა ავტორიზებულ პირებთან აფილირებულნი არ არიან.

კომისია აღნიშნავს, რომ სს „სილქნეტი“ არის შპს „ვაიმექს ჯორჯიას“ წილის 100%-ის მფლობელი. შპს „ვაიმექს ჯორჯია“ წარმოადგენს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებულ პირს, რომელიც მიმდინარე ეტაპზე საქმიანობას არ ახორციელებს.

კომისია აღნიშნავს, რომ “სილქნეტის“ აქციების 100%-ის მფლობელი არარეზიდენტი იურიდიული პირი “რაინსტრიმ ჰოლდინგს ლიმიტედ“, ასევე “რაინსტრიმ ჰოლდინგს ლიმიტედ“-ის პარტნიორები: გიორგი რამიშვილი, ალექსი თოფურია და დავიდ ბორგერი სხვა ავტორიზებულ პირებთან აფილირებულნი არ არიან.

#### **კონცენტრაციის შეფასება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:**

- ეტაპი 1: იმ მომსახურებ(ებ)ის და მათი გეოგრაფიული არეალ(ებ)ის (შემდგომში „ბაზრის შესაბამისი სეგმენტი“) იდენტიფიცირება და განსაზღვრა, რომელზეც გავლენას მოახდენს კონცენტრაცია;
- ეტაპი 2: მეორე ეტაპზე იდენტიფიცირებულ ბაზრის შესაბამის სეგმენტ(ებ)ზე საბაზრო წილებისა და კონცენტრაციის დონეების შეფასება;
- ეტაპი 3: კონცენტრაციის კატეგორიის განსაზღვრა;
- ეტაპი 4: ეფექტიან კონკურენციაზე კონცენტრაციის ზეგავლენის და კონცენტრაციის შესაძლო ანტიკონკურენტულ ეფექტების განსაზღვრა;
- ეტაპი 5: განზრახულ კონცენტრაციასთან დაკავშირებით, მხარეების მიერ წარმოდგენილი წინადადებების შეფასება;
- ეტაპი 6: კონცენტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.

#### **საცალო მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტები**

სს „სილქნეტი“ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საცალო ბაზარზე, უზრუნველყოფს მომხმარებლებისთვის სატელეფონო ხმოვანი (ფიქსირებული და მობილური), ინტერნეტის და ტრანზიტული მაუწყებლობის მომსახურების მიწოდებას. კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს, როგორც ცალკეულ მომსახურებებს, ასევე სხვადასხვა სახის მომსახურებათა ნაკრებს (ორ, სამ და ოთხ სერვისს ერთ პაკეტად) იმ ტექნოლოგიებისა და ქსელების გათვალისწინებით, რაც ხელმისაწვდომია შესაბამის გეოგრაფიულ ზონებში.

შპს „ჯეოსელი“ საცალო ბაზარზე მომხმარებლებს უზრუნველყოფს მობილური ხმოვანი, ინტერნეტ და SMS მომსახურებებით. ჰორიზონტალური კონცენტრაციის შესაფასებლად განისაზღვრა სატელეკომუნიკაციო საცალო მომსახურების შემდეგი ბაზრის შესაბამისი სეგმენტები:

- ფიქსირებული ინტერნეტის საცალო მომსახურება;
- ფიქსირებული საცალო სატელეფონო ხმოვანი მომსახურება;
- მაუწყებლობის ტრანზიტი;
- მობილური საცალო ხმოვანი მომსახურება;
- მობილური ინტერნეტ მომსახურება;
- მოკლე ტექსტური შეტყობინებები - SMS.

*შენიშვნა: ჰორიზონტალური კონცენტრაციის დროს კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტები წარმოადგენენ კონკურენტებს, რადგან ისინი ერთსა და იმავე ბაზრის შესაბამის სეგმენტ(ებ)ზე საქმიანობენ.*

სს „სილქნეტი“ და შპს „ჯეოსელი“ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში სხვა ავტორიზებულ პირებს უზრუნველყოფენ სხვადასხვა საბითუმო მომსახურებებით რომლებიც, ავტორიზებული პირებისათვის აუცილებელია სხვადასხვა საცალო მომსახურების მისაწოდებლად. ვერტიკალური კონცენტრაციის შესაფასებლად განისაზღვრა სატელეკომუნიკაციო საბითუმო მომსახურების შემდეგი ბაზრის შესაბამისი სეგმენტები:

- კანალიზაციაში კაბელების გატარება;
- ინტერნეტის საბითუმო მომსახურება მათ შორის, გაფართოებული ურთიერთჩართვა, ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვება და ლოკალური საბითუმო ინტერნეტი;
- მაგისტრალურ არხებთან დაშვება;
- ურთიერთჩართვა ფიქსირებულ სადენიან და უსადენო (CDMA) ქსელში;
- ურთიერთჩართვა მობილურ ქსელში;
- სპილენძის წყვილებთან დაშვება.

*შენიშვნა: ვერტიკალური კონცენტრაციის დროს კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტები ერთი და იმავე მომსახურების მიწოდების ჯაჭვის სხვადასხვა დონეზე საქმიანობენ, სადაც ერთი ეკონომიკური აგენტი უზრუნველყოფს, ან შეუძლია უზრუნველყოს აღმავალი მიმართულების საბითუმო მომსახურება, რომელიც აუცილებელია სხვა ეკონომიკური აგენტის დაღმავალი მიმართულების საცალო მომსახურების მიწოდების უზრუნველსაყოფად.*

კონგლომერატული კონცენტრაციის შესაფასებლად განისაზღვრა სს „სილქნეტის“ და შპს „ჯეოსელის“ მიერ კონკურენტების საქმიანობის შეზღუდვის შესაძლებლობა, რომელიც გამოიხატება ბაზრის სხვადასხვა სეგმენტებზე ინდივიდუალურად მიწოდებული

მომსახურებების ერთ პაკეტში გაერთიანებით (დაკავშირებული ან პაკეტური მომსახურებები), რაც ითვალისწინებს ბაზრის ერთ სეგმენტზე საბაზრო ძალაუფლების გამოყენებით, ბაზრის სხვა სეგმენტზე კონკურენტების საქმიანობის შეზღუდვას.

*შენიშვნა: კონგლომერატული კონცენტრაციის დროს კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს შორის დამოკიდებულება არც ჰორიზონტალურია და არც ვერტიკალური. ეკონომიკური აგენტები საქმიანობენ ელექტრონული კომუნიკაციების სექტორის სხვადასხვა ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე.*

### 1.ფიქსირებული ინტერნეტის საცალო მომსახურება

სს „სილქნეტი“ ინტერნეტ მომსახურების მიწოდებას უზრუნველყოფს ოპტიკური ქსელის (ოპტიკა სახლამდე („FTTH“) - წერტილი-მრავალწერტილი („GPON“) და წერტილი-წერტილი („P2P“), სპილენძის ადგილობრივი დაშვების ქსელის („ADSL“ და „ADSL2“ ტექნოლოგიები) და ადგილობრივი რადიოდაშვების (LTE, WiFi და CDMA) ქსელების გამოყენებით. ბოლო მომხმარებლის ფიქსირებულ მისამართზე ინტერნეტის ქსელით მომსახურების საცალო ბაზარზე კომისიის №610/9 13.11.2009 გადაწყვეტილებით სს „სილქნეტი“ ცნობილი იქნა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირად და დაეკისრა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სპეციფიკური ვალდებულებები, მათ შორის, ინფორმაციის გამჭვირვალობის ვალდებულება და განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება.

სს „სილქნეტი“ და შპს „მაგთიკომი“ საცალო მომსახურების აბონენტებს ფიქსირებულ ინტერნეტ მომსახურების მრავალფეროვან პაკეტებს სთავაზობენ. სს „სილქნეტის“ მიერ აბონენტებისთვის მიწოდებული ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურების საერთო ოდენობიდან 57 პროცენტი ოპტიკური ინტერნეტია, ხოლო 43 პროცენტი xDSL, ხოლო მაგთიკომის შემთხვევაში ოპტიკური ინტერნეტი 97 პროცენტს შეადგენს, ხოლო xDSL მხოლოდ 3 პროცენტია.


მონაცემები აბონენტებისა და შემოსავლების შესახებ 2015 -2017 წლების პერიოდში

ცხრილი N1

კომპანია	2015		2016		2017	
	აბონენტები	შემოსავალი, ლარი	აბონენტები	შემოსავალი, ლარი	აბონენტები	შემოსავალი, ლარი
სილქნეტი	229,854	72,673,308	244,330	75,886,974	255,265	79,177,437
მაგთიკომი	187,451	68,439,229	198,561	69,415,723	282,722	77,441,093
სხვა	90,559	22,133,606	95,456	24,823,076	82,133	22,383,672
<b>სულ</b>	<b>507,864</b>	<b>163,246,143</b>	<b>538,347</b>	<b>170,125,773</b>	<b>620,120</b>	<b>179,002,202</b>

საბაზრო ხვედრითი წილები კომპანიების მიხედვით 2015 -2017 წლების კვარტლების მიხედვით, მთლიანი საქართველო

გრაფიკი N2



ფიქსირებულ ინტერნეტ მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ლიდერები გეოგრაფიული საზღვრების მიხედვით 2015 vs 2017


ცხრილი N3

ბაზრის წილის უმაღლესი მაჩვენებელი 2015	სილქნეტი	მაგთიკომი	სიჯისი	ახალი ქსელები
აჭარის ა/რ	V			
გურია	V			
იმერეთი				V
კახეთი	V			
ქვემო ქართლი			V	
მცხეთა-მთიანეთი		V		
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	V			
სამეგრელო-ზემო სვანეთი	V			
სამცხე-ჯავახეთი	V			
შიდა ქართლი	V			
თბილისი		V		

ბაზრის წილის უმაღლესი მაჩვენებელი 2017	სილქნეტ	მაგთიკომ	სიჯის	ახალი ქსელები
აჭარის ა/რ	V			
გურია		V		
იმერეთი	V			
კახეთი		V		
ქვემო ქართლი			V	
მცხეთა-მთიანეთი		V		
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	V			
სამეგრელო-ზემო სვანეთი		V		
სამცხე-ჯავახეთი	V			
შიდა ქართლი	V			
თბილისი		V		


შპს „მაგთიკომის“ მიერ ფიქსირებული და მობილური ქსელების კონვერგაციის შემდეგ (შპს „მაგთიკომმა“ 2015 წლის 19 ნოემბერს შეიძინა შპს „კავკასუს ონლიანის“ საცალო საოპერაციო აქტივები) შპს „მაგთიკომის“ საბაზრო ხვედრითი წილი საქართველოს რიგ რეგიონებში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მნიშვნელოვნად შეიცვალა (ცხრილი N3), აღნიშნულით დასტურება ბაზრის ამ სეგმენტზე მანამდე არსებული დომინანტი ავტორიზებული პირების საბაზრო ძალაუფლების შესუსტება. 2015 წლის მონაცემებით სს „სილქნეტი“ საბაზრო წილის უმაღლესი მაჩვენებელს ფლობდა 7 რეგიონში, ხოლო 2017-ში საბაზრო წილის უმაღლესი მაჩვენებელს ფლობს მხოლოდ 5 რეგიონში.

ფიქსირებულ ინტერნეტ მომსახურებაზე დაწესებული საშუალო ფასების ტენდენცია




გრაფიკი N 5-ზე მოცემულია სს „სილქნეტისა“ და შპს „მაგთიკომის“ მიერ ფიქსირებული ინტერნეტის საცალო მომხმარებლებისათვის შეთავაზებული ინტერნეტ პაკეტების ფასების შესახებ ისტორიული მონაცემები პაკეტის სიჩქარეების მიხედვით

გრაფიკი N 6



გრაფიკი N 7



გრაფიკებიდან (N6 და N7) ირკვევა, რომ მიუხედავად აბონენტების მნიშვნელოვანი ზრდისა მომსახურებაზე დაწესებული ფასები 2015 წლიდან ფაქტიურად არ შეცვლილა.

## კონკურენციის შეფასება:

სს „სილქნეტის“ მიერ შპს „ჯეოსელის“ 100 პროცენტის წილის შეძენის (შემდგომში „კონცენტრაცია“) ტრანზაქცია ფიქსირებულ ინტერნეტ მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არ წარმოადგენს ჰორიზონტალურ კონცენტრაციას, ვინაიდან ბაზრის ამ სეგმენტზე მხოლოდ სს „სილქნეტი“ საქმიანობს, ამიტომ კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტები არ წარმოადგენენ კონკურენტებს. აღნიშნულიდან გამომდინარე ტრანზაქციის განხორციელებამდე და ტრანზაქციის განხორციელების შემდეგ ორივე კომპანიის ჯამური საბაზრო ხვედრითი წილი და კონცენტრაციის დონე არ შეიცვლება. შესაბამისად, კონცენტრაცია პირდაპირ გავლენას არ ახდენს კონკურენციის ინტენსიურობაზე და მისი საშუალებით კონკურენციაში მონაწილე ავტორიზებულ პირებს შორის კონკურენცია არ იზღუდება. იმის გათვალისწინებით, რომ ადგილი არ აქვს ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენტების საერთო რაოდენობის შემცირებას, კონკურენციაში მყოფი რომელიმე ავტორიზებული პირის საბაზრო ძალაუფლება არ ძლიერდება.

ამასთან ერთად, ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ფიქსირებულ ინტერნეტ მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე გეოგრაფიული ზონების მიხედვით მომხმარებელთა მხრიდან მომსახურების მიმწოდებლების შეცვლის შესაძლებლობა არსებობს. შესაბამისად, კონცენტრაცია ხელს არ შეუშლის ბაზარზე არსებულ კონკურენციას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ბაზრის ამ სეგმენტზე სს „სილქნეტის“ მიერ შპს „ჯეოსელის“ წილის შეძენის ტრანზაქცია ბაზარზე არსებულ კონკურენციასთან თავსებადია.

## 2. ფიქსირებული საცალო სატელეფონო ხმოვანი მომსახურება

სს „სილქნეტი“ ფიქსირებული საცალო სატელეფონო ხმოვანი მომსახურების მიწოდებას უზრუნველყოფს „VoIP“, „PSTN“ და „CDMA“ ტექნოლოგიების საშუალებით. აღნიშნული ბაზრის შესაბამისი სეგმენტი კომისიის მიერ არ რეგულირდება. მომსახურების მიწოდების გეოგრაფიულ საზღვრებად განსაზღვრულია ადგილობრივი მუნიციპალიტეტები და დიდი ქალაქები. აღნიშნულ მომსახურებებზე კომპანიების მიერ დადგენილი ტარიფები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ შეცვლილა.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა ფიქსირებული სატელეფონო მომსახურებაზე აბონენტების რაოდენობა, როგორც „PSTN“ ასევე „CDMA“ ტექნოლოგიებით მიწოდებაზე. აბონენტები შეუმცირდა ყველა ავტორიზებულ პირს. შესაბამისად, აბონენტების ოდენობის საბაზრო ხვედრითი წილები ავტორიზებული პირების მიხედვით მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მიუხედავად შპს „მაგთიკომის“ მიერ შპს „კავკასუს ონლაინის“ შეძენის შემდეგ მომხმარებლებისათვის ფიქსირებული ინტერნეტისა და სატელეფონო მომსახურების ერთდროული შეთავაზებისა, ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტების რაოდენობა შპს „მაგთიკომის“ ქსელში მაინც მნიშვნელოვნად შემცირდა.


მონაცემები აბონენტებისა და შემოსავლების შესახებ 2015 -2017 წლების პერიოდში

ცხრილი N8

კომპანია	2015		2016		2017	
	აბონენტები	შემოსავალი	აბონენტები	შემოსავალი	აბონენტები	შემოსავალი
სილქნეტი	385,797	34,534,367	361,300	30,480,248	331,988	27,037,584
მაგთიკომი	298,929	9,272,556	228,276	6,646,167	168,548	4,930,354
ახალი ქსელები	98,751	6,286,162	94,864	5,421,441	78,435	4,641,706
ახტელი	56,387	3,896,222	54,176	3,419,255	46,256	3,249,407
სხვა დანარჩენი	48,376	3,063,775	50,816	4,339,683	49,041	6,876,616
<b>სულ</b>	<b>888,240</b>	<b>57,053,082</b>	<b>789,432</b>	<b>50,306,794</b>	<b>706,447</b>	<b>46,735,667</b>

საბაზრო ხვედრითი წილები კომპანიების მიხედვით 2015 -2017 წლების კვარტლების მიხედვით, მთლიანი საქართველო

გრაფიკი N9



ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ლიდერები გეოგრაფიული საზღვრების მიხედვით

ბაზრის წილის უმაღლესი მაჩვენებელი 2017	სილქნეტი	მაგთიკომი	ახალი ქსელები	სი ჯი სი
აჭარა	V			
მთლიანი საქართველო (CDMA)		V		
გურია	V			
იმერეთი			V	
კახეთი	V			
ქვემო ქართლი (რუსთავი)				V
მცხეთა მთიანეთი	V			
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	V			
სამეგრელო-ზემო სვანეთი	V			
სამცხე-ჯავახეთი	V			
შიდა ქართლი	V			
თბილისი	V			

### კონკურენციის შეფასება:

სს „სილქნეტის“ მიერ შპს „ჯეოსელის“ 100 პროცენტის წილის შეძენის ტრანზაქცია ფიქსირებულ სატელეფონო მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არ წარმოადგენს კორიზონტალური კონცენტრაციას, რადგან კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტები არ წარმოადგენენ კონკურენტებს იმ თვალსაზრისით, რომ ბაზრის ამ სეგმენტზე მხოლოდ სს „სილქნეტი“ საქმიანობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ტრანზაქციის განხორციელებამდე და ტრანზაქციის განხორციელების შემდეგ, ორივე კომპანიის ჯამური საბაზრო ხვედრითი წილი და კონცენტრაციის დონე არ შეიცვლება. შესაბამისად, კონცენტრაცია პირდაპირ გავლენას არ ახდენს კონკურენციის ინტენსიურობაზე და მისი საშუალებით კონკურენციაში მონაწილე ავტორიზებულ პირებს შორის კონკურენცია არ იზღუდება. იმის გათვალისწინებით, რომ ადგილი არ აქვს ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენტების საერთო რაოდენობის შემცირებას, ამიტომ კონკურენციაში მყოფი რომელიმე ავტორიზებული პირის საბაზრო ძალაუფლება არ ძლიერდება.

ბაზრის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ფიქსირებულ სატელეფონო მომსახურების მიმღები აბონენტების რაოდენობა და საერთო შემოსავლები წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად

მცირდება. ბაზრის ანალიზით ასევე ირკვევა, რომ ფიქსირებულ სატელეფონო მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე გეოგრაფიული ზონების მიხედვით მომხმარებელთა მხრიდან მომსახურების მიმწოდებლების შეცვლის შესაძლებლობა არსებობს. შესაბამისად, კონცენტრაცია ხელს არ შეუშლის ბაზარზე არსებულ კონკურენციას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ბაზრის ამ სეგმენტზე სს „სილქნეტი“ მიერ შპს „ჯეოსელის“ წილის შეძენის ტრანზაქცია ბაზარზე არსებულ კონკურენციასთან თავსებადია.

### 3. მაუწყებლობის ტრანზიტი

სს „სილქნეტი“ უზრუნველყოფს ტრანზიტული მაუწყებლობის მომსახურების IPTV და MITRIS ტექნოლოგიების საშუალებით მიწოდებას. ტრანზიტული მაუწყებლობის ბაზრის შესაბამისი სეგმენტი კომისიის მიერ არ რეგულირდება

მაუწყებლობის ტრანზიტი მიეწოდება მომხმარებლებს შემდეგი ტექნოლოგიებისა და პლატფორმების საშუალებით:

- ინტერნეტ ტელევიზია
  - xDSL ტექნოლოგია
  - FO ტექნოლოგია
- სატელიტური
- საკაბელო
- რადიოსიხშირული სპექტრით
  - მიტრისი
  - MMDS

მომსახურების მიწოდების გეოგრაფიულ საზღვრებად განსაზღვრულია ადგილობრივი მუნიციპალიტეტები და დიდი ქალაქები.

მონაცემები აბონენტებისა და შემოსავლების შესახებ 2015 -2017 წლების პერიოდში



ცხრილი N11


კომპანია	2015		2016		2017	
	აბონენტები	შემოსავალი	აბონენტები	შემოსავალი	აბონენტები	შემოსავალი
სილქნეტი	102,824	24,490,373	133,406	25,546,211	167,014	29,310,169
მაგთიკომი	168,535	13,917,372	159,647	18,665,891	253,768	25,293,828
სუპერ ტვ	65,814	7,224,623	43,692	8,093,564	34,990	7,312,026
გლობალ TV	45,423	3,017,381	53,201	5,001,741	46,026	5,135,289
სხვა	67,267	8,854,037	58,931	8,646,592	68,260	8,756,990
<b>სულ</b>	<b>449,863</b>	<b>57,503,786</b>	<b>448,877</b>	<b>65,953,999</b>	<b>570,058</b>	<b>75,808,302</b>

შენიშვნა: 2018 წლიდან შპს „გლობალ კონტაქტ კონსალტინგის“ (გლობალ TV) აბონენტებს მომსახურებას უწევს სს „სილქნეტი“. 2017 წლის 21 დეკემბერს სს „სილქნეტმა“ შეიძინა შპს „გლობალ კონტაქტ კონსალტინგის“ საოპერაციო აქტივები

საბაზრო ხვედრითი წილები კომპანიების მიხედვით 2015 -2017 წლების კვარტლების მიხედვით, მთლიანი საქართველო

გრაფიკი N12





ბაზრის წილის უმაღლესი მაჩვენებლები კომპანიების და რეგიონების მიხედვით

ცხრილი N13

ბაზრის წილის უმაღლესი მაჩვენებელი 2015 წლის მდგომარეობით	სილქნეტი	კავკასუს ონლაინი (მაგთი)	ტვერა	სიჯისი
აჭარის ა/რ			V	
გურია		V		
იმერეთი		V		
კახეთი		V		
ქვემო ქართლი				V
მცხეთა-მთიანეთი		V		
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი		V		
სამეგრელო-ზემო სვანეთი		V		
სამცხე-ჯავახეთი		V		
შიდა ქართლი		V		
თბილისი	V			

ბაზრის წილის უმაღლესი მაჩვენებელი 2017 წლის მდგომარეობით	სილქნეტი	მაგთი	ტვ ერა	სიჯისი
აჭარის ა/რ	V			
გურია		V		
იმერეთი		V		
კახეთი		V		
ქვემო ქართლი		V		
მცხეთა-მთიანეთი		V		
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი		V		
სამეგრელო-ზემო სვანეთი		V		
სამცხე-ჯავახეთი		V		
შიდა ქართლი		V		
თბილისი		V		

შპს „მაგთიკომის“ მიერ ფიქსირებული და მობილური ქსელების კონვერგაციის შემდეგ (შპს „მაგთიკომმა“ 2015 წლის 19 ნოემბერს შეიძინა შპს „კავკასუს ონლიანის“ საცალო საოპერაციო აქტივები) შპს „მაგთიკომის“ საბაზრო ხვედრითი წილი საქართველოს რეგიონებში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მნიშვნელოვნად გაიზარდა (ცხრილი N9 და ცხრილი N10), აღნიშნულით დასტურება ბაზრის ამ სეგმენტზე მანამდე არსებული დომინანტი ავტორიზებული პირების საბაზრო ძალაუფლების შესუსტება. 2015 წლის მონაცემებით სს „სილქნეტი“ საბაზრო წილის უმაღლესი მაჩვენებელს ფლობდა ქ. თბილისში, ხოლო 2017 წელს სს „სილქნეტის“ საბაზრო წილის უმაღლესი მაჩვენებელს თბილისში აღარ ფლობს, თუმცა 2017 წელს გაიზარდა სს „სილქნეტის“ საბაზრო ხვედრითი წილი აჭარაში. რაც შეეხება სხვა ავტორიზებულ პირებს შპს „ტვ ერას“ და შპს „სი-ჯი-სის“, რომლებიც 2015 წელს ფლობდნენ ბაზრის წილის უმაღლეს მაჩვენებლებს შესაბამისად აჭარაში და ქვემო ქართლში 2017 წელს აღარ არიან უმაღლესი საბაზრო წილების მფლობელები. ამასთან ერთდ უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოში და საქართველოში არსებული ტენდენციების თანახმად მომხმარებლები სარგებლობენ მაუწყებლობის ტრანზიტივის სხვადასხვა OTT პლატფორმებით, რომელიც ბაზრის ამ სეგმენტზე მნიშვნელოვან კონკურენციულ ძალას წარმოადგენს.

#### კონკურენციის შეფასება:

სს „სილქნეტის“ მიერ შპს „ჯეოსელის“ 100 პროცენტის წილის შეძენის ტრანზაქცია მაუწყებლობის ტრანზიტივის მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არ წარმოადგენს ჰორიზონტალურ კონცენტრაციას, რადგან კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტები არ წარმოადგენენ კონკურენტებს იმ თვალსაზრისით, რომ ბაზრის ამ სეგმენტზე მხოლოდ სს „სილქნეტი“ საქმიანობს. აღნიშნულიდან გამომდინარე ტრანზაქციის განხორციელებამდე და ტრანზაქციის განხორციელების შემდეგ ორივე კომპანიის ჯამური საბაზრო ხვედრითი წილი და კონცენტრაციის დონე არ შეიცვლება. შესაბამისად,

კონცენტრაცია პირდაპირ გავლენას არ ახდენს კონკურენციის ინტენსიურობაზე და მისი საშუალებით კონკურენციაში მონაწილე ავტორიზებულ პირებს შორის კონკურენცია არ იზღუდება. იმის გათვალისწინებით, რომ ადგილი არ აქვს ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენტების საერთო რაოდენობის შემცირებას, შესაბამისად კონკურენციაში მყოფი რომელიმე ავტორიზებული პირის საბაზრო ძალაუფლება არ ძლიერდება. ბაზრის ანალიზით ირკვევა, რომ მაუწყებლობის ტრანზიტის მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე გეოგრაფიული ზონების მიხედვით მომხმარებელთა მხრიდან მომსახურების მიმწოდებლების შეცვლის შესაძლებლობა არსებობს. შესაბამისად, კონცენტრაცია ხელს არ შეუშლის ბაზარზე არსებულ კონკურენციას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ბაზრის ამ სეგმენტზე სს „სილქნეტის“ მიერ შპს „ჯეოსელის“ წილის შეძენის ტრანზაქცია ბაზარზე არსებულ კონკურენციასთან თავსებადია.

#### 4. მობილური საცალო ხმოვანი მომსახურება

ბოლო მომხმარებელზე მოძრავი სატელეფონო ხმოვანი მომსახურების მიწოდების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კომისიის №26/9 25.01.2011 გადაწყვეტილებით შპს „ჯეოსელი“ ცნობილი იქნა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირად და დაეკისრა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სპეციფიკური ვალდებულებები მათ შორის, განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება და სატარიფო რეგულირება ზედა ზღვრული ტარიფი - 24 თეთრის ოდენობით წუთზე, აქციზის და დღგ-ს ჩათვლით.

სს „სილქნეტის“ მიერ აბონენტებისათვის “CDMA” ტექნოლოგიით მობილური მომსახურების მიწოდება არ წარმოადგენს “GSM” ტექნოლოგიით მომსახურების მიწოდების ჩანაცვლებად მომსახურებას.

მონაცემები აბონენტების და შემოსავლების შესახებ (ათასებში) 2015 -2017 წლები


ცხრილი N15

('000)	2015		2016		2017	
	აბონენტები	შემოსავალი	აბონენტები	შემოსავალი	აბონენტები	შემოსავალი
ჯეოსელი	1,647	96,213	1,464	77,369	1,503	62,184
მაგთიკომი	1,778	103,578	1,851	99,578	1,821	93,758
ვიონი საქართველო	1,037	49,136	1,029	43,143	1,141	35,668
სილქნეტი	24	1,469	20	1,251	16	1,026
<b>სულ</b>	<b>4,485</b>	<b>250,396</b>	<b>4,364</b>	<b>221,342</b>	<b>4,481</b>	<b>192,635</b>


მობილური მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტი 2015 -2017 წლების განმავლობაში აბონენტების რაოდენობის მიხედვით არ იზრდება (ბაზარი გაჯერებულია), რაც შეეხება მობილური ხმოვანი მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებს, ეს მაჩვენებელი წლიდან წლამდე მნიშვნელოვნად მცირდება ყველა კომპანიისთვის, თუმცა ყველაზე უფრო მეტად შემცირდა შპს „ჯეოსელის“ შემოსავლები მცირდება. მსოფლიოში და საქართველოში არსებული ტენდენციების თანახმად, მობილური ხმოვანი მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების შემცირების საპირისპიროდ იზრდება მობილური ინტერნეტ მომსახურების მოცულობა და შემოსავლები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ შპს „მაგთიკომის“ მიერ ფიქსირებული და მობილური ქსელების კონვერგაციის შედეგად მომხმარებლებისთვის შეთავაზებული კონვერგირებული მომსახურებების მიუხედავად, შპს „მაგთიკომის“ საბაზრო ხვედრითი წილი ბაზრის ამ სეგმენტზე მაინც შემცირდა.

აბონენტების მიხედვით ბაზრის ხვედრითი წილები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გრაფიკი N16



აბონენტების მიერ მოხმარებული წუთების მოცულობა („ტრაფიკი“) იზრდება წლების მიხედვით, მობილურ ხმოვან მომსახურებაში ტრაფიკის ზრდა გამოწვეულია კომპანიების მიერ საკუთარ ქსელში უფასო განხორციელებულ ზარებზე ნულოვანი ტარიფის გამო. გრაფიკი N-17 ზე მოცემულია კომპანიების მიხედვით ტრაფიკის შესახებ მონაცემები.



**კონკურენციის შეფასება:**

სს „სილქნეტის“ მიერ შპს „ჯეოსელის“ 100 პროცენტის წილის შეძენის ტრანზაქცია მობილურ სატელეფონო მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არ წარმოადგენს ჰორიზონტალურ კონცენტრაციას, რადგან კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტები არ წარმოადგენენ კონკურენტებს იმ თვალსაზრისით, რომ ბაზრის ამ სეგმენტზე ფაქტიურად მხოლოდ შპს „ჯეოსელი“ საქმიანობს (სს „სილქნეტის“ მიერ აბონენტებისათვის “CDMA” ტექნოლოგიით მობილური მომსახურების მიწოდება არ წარმოადგენს “GSM” ტექნოლოგიით მომსახურების მიწოდების ჩანაცვლებად მომსახურებას). აღნიშნულიდან გამომდინარე ტრანზაქციის განხორციელებამდე და ტრანზაქციის განხორციელების შემდეგ ორივე კომპანიის ჯამური საბაზრო ხვედრითი წილი და კონცენტრაციის დონე არ შეიცვლება. შესაბამისად, კონცენტრაცია პირდაპირ გავლენას არ ახდენს კონკურენციის ინტენსიურობაზე და მისი საშუალებით კონკურენციაში მონაწილე ავტორიზებულ პირებს შორის კონკურენცია არ იზღუდება. იმის გათვალისწინებით, რომ ადგილი არ აქვს ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენტების საერთო რაოდენობის შემცირებას, ამიტომ კონკურენციაში მყოფი რომელიმე ავტორიზებული პირის საბაზრო ძალაუფლება არ ძლიერდება.

ბაზრის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ მობილური სატელეფონო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად მცირდება. ამასთან ერთად მობილური ხმოვანი სატელეფონო მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე საქართველოს მთელს ტერიტორიაზე მომხმარებელთა მხრიდან მომსახურების მიმწოდებლების შეცვლის მაღალი შესაძლებლობა არსებობს შესაბამისად, კონცენტრაცია ხელს არ შეუშლის ბაზარზე არსებულ კონკურენციას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ბაზრის ამ სეგმენტზე სს „სილქნეტის“ მიერ შპს „ჯეოსელის“ წილის შეძენის ტრანზაქცია ბაზარზე არსებულ კონკურენციასთან თავსებადია.

## 5. მობილური ინტერნეტ მომსახურება

მობილური ინტერნეტ მომსახურების მიწოდების საცალო ბაზარზე კომისიის №610/9 13.11.2009 გადაწყვეტილებით შპს „ჯეოსელი“ ცნობილი იქნა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირად და დაეკისრა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სპეციფიკური ვალდებულებები, მათ შორის, ინფორმაციის გამჭვირვალობის ვალდებულება და განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება.

სს „სილქნეტის“ მიერ აბონენტებისათვის “CDMA” ტექნოლოგიით მობილური მომსახურების მიწოდება არ წარმოადგენს “GSM” ტექნოლოგიით მომსახურების მიწოდების ჩანაცვლებად მომსახურებას. ამასთან ამ მომსახურებიდან სს „სილქნეტის“ მიერ მიღებული შემოსავლები იმდენად მცირეა, რომ არ იქნა გათვალისწინებული საერთო ცხრილში.

მონაცემები აბონენტების და შემოსავლების შესახებ (ათასებში) 2015 -2017 წლები


ცხრილი N18

("000)	2015		2016		2017	
	აბონენტები	შემოსავალი, ლარი	აბონენტები	შემოსავალი, ლარი	აბონენტები	შემოსავალი, ლარი
ჯეოსელი	717	14,517	820	10,536	911	34,091
მაგთიკომი	615	17,068	751	29,769	804	42,510
ვიონი საქართველო	282	3,163	352	4,321	513	10,229
<b>სულ</b>	<b>1,614</b>	<b>34,758</b>	<b>1,923</b>	<b>44,631</b>	<b>2,228</b>	<b>68,851</b>

საქართველოში LTE ტექნოლოგიების დანერგვის შემდეგ ბაზრის ამ სეგმენტზე ყოველწლიურად იზრდება აბონენტების რაოდენობა და შემოსავლები მოცულობაც.


ბაზრის შესაბამის სეგმენტზე აბონენტების რაოდენობის ხვედრითი წილები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გრაფიკი N19




გრაფიკი N 20-ის მიხედვით საქართველოში მოხმარებული მობილური ინტერნეტის მოცულობა წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად იზრდება

გრაფიკი N20



მობილურ ინტერნეტზე კომპანიების მიერ დადგენილი ტარიფები 2017 წელს 2015 წელთან შედარებით შემცირდა.

### საშუალო ფასი (მეგაბაიტი/ლარი, გადასახადებით)



ანალიზიდან ირკვევა, რომ აღნიშნულ მომსახურებაზე ტარიფების შემცირებასთან ერთად იზრდება მობილური ინტერნეტის ტრაფიკი, რაც საერთო ჯამში იწვევს ამ მომსახურებიდან მიღებული საერთო შემოსავლების ზრდას. შესაბამისად, მობილური ოპერატორების მხრიდან ადგილი აქვს მომსახურების მოცულობაზე დაფუძნებულ კონკურენციას. კომპანიები ცდილობენ გაზარდონ შემოსავლები გაყიდული ინტერნეტ მოცულობის ზრდის საშუალებით.

### კონკურენციის შეფასება:

სს „სილქნეტის“ მიერ შპს „ჯეოსელის“ 100 პროცენტის წილის შეძენის ტრანზაქცია მობილურ ინტერნეტ მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არ წარმოადგენს ჰორიზონტალურ კონცენტრაციას, რადგან კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტები არ წარმოადგენენ კონკურენტებს იმ თვალსაზრისით, რომ ბაზრის ამ სეგმენტზე ფაქტიურად მხოლოდ შპს „ჯეოსელი“ საქმიანობს (სს „სილქნეტის“ მიერ აბონენტებისათვის “CDMA” ტექნოლოგიით მობილური მომსახურების მიწოდება არ წარმოადგენს “GSM” ტექნოლოგიით მომსახურების მიწოდების ჩანაცვლებად მომსახურებას). აღნიშნულიდან გამომდინარე ტრანზაქციის განხორციელებამდე და ტრანზაქციის განხორციელების შემდეგ ორივე კომპანიის ჯამური საბაზრო ხვედრითი წილი და კონცენტრაციის დონე არ შეიცვლება. შესაბამისად, კონცენტრაცია პირდაპირ გავლენას არ ახდენს კონკურენციის ინტენსიურობაზე და მისი საშუალებით კონკურენციაში მონაწილე ავტორიზებულ პირებს შორის კონკურენცია არ იზღუდება. იმის გათვალისწინებით, რომ ადგილი არ აქვს ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენტების საერთო რაოდენობის შემცირებას, ამიტომ კონკურენციაში მყოფი რომელიმე ავტორიზებული პირის საბაზრო ძალაუფლება არ ძლიერდება. ამასთან ერთად, მობილური ინტერნეტ მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მომხმარებელთა მხრიდან მომსახურების მიწოდებლების შეცვლის შესაძლებლობა არსებობს. შესაბამისად, კონცენტრაცია ხელს არ შეუშლის ბაზარზე არსებულ კონკურენციას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ბაზრის ამ სეგმენტზე სს „სილქნეტის“ მიერ შპს „ჯეოსელის“ წილის შეძენის ტრანზაქცია ბაზარზე არსებულ კონკურენციასთან თავსებადია.

## 6. მოკლე ტექსტური შეტყობინებები - SMS

მობილური მოკლე ტექსტური შეტყობინების „SMS“ ბაზრის შესაბამის სეგმენტი 2015 -2017 წლების განმავლობაში აბონენტების რაოდენობის მიხედვით მნიშვნელოვნად არ იცვლება (ბაზარი გაჯერებულია). ამ მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების საერთო მოცულობა ყველა კომპანიისთვის წლიდან წლამდე მნიშვნელოვნად მცირდება. მსოფლიოში და საქართველოში არსებული ტენდენციების თანახმად მომხმარებლები სარგებლობენ „SMS“ სხვადასხვა უფასო OTT აპლიკაციებით.

სს „სილქნეტის“ მიერ აბონენტებისათვის “CDMA” ტექნოლოგიით მობილური მომსახურების მიწოდება არ წარმოადგენს “GSM” ტექნოლოგიით მომსახურების მიწოდების ჩანაცვლებად მომსახურებას. ამასთან ამ მომსახურებიდან სს „სილქნეტის“ მიერ მიღებული შემოსავლები იმდენად მცირეა, რომ არ იქნა გათვალისწინებული საერთო ცხრილში.


აბონენტების რაოდენობა, რომლებმაც ისარგებლეს SMS მომსახურებით და შესაბამისი შემოსავლები (ათასებში) 2015 -2017 წლები

ცხრილი N21

მონაცემები აბონენტებისა და შემოსავლების შესახებ (ათასებში)


('000)	2015		2016		2017	
	აბონენტები	შემოსავალი, ლარი	აბონენტები	შემოსავალი, ლარი	აბონენტები	შემოსავალი, ლარი
ჯეოსელი	881	9,940	1,006	7,091	908	5,443
მაგთიკომი	1,103	13,210	1,129	11,101	1,073	8,744
ვიონი საქართველო	594	4,639	352	2,884	640	2,201
<b>სულ</b>	<b>2,583</b>	<b>27,815</b>	<b>2,489</b>	<b>21,092</b>	<b>2,622</b>	<b>16,396</b>

ბაზრის ხვედრითი წილები (SMS აბონენტების მიხედვით) 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.




მსოფლიოში და საქართველოში არსებული ტენდენციების თანახმად მომხმარებლები სარგებლობენ „SMS“ ალტერნატიული სხვადასხვა უფასო OTT აპლიკაციებით. „SMS“ -ების შემცირების ტენდენცია მოცემულია გრაფიკი N 23 ზე

გრაფიკი N 23



„SMS“ -ების ფასების ტენდენცია კომპანიების მიხედვით მოცემულია გრაფიკი N 24 ზე

ერთ SMS-ის ფასი (ლარი გადასახადებით)



**კონკურენციის შეფასება:**

სს „სილქნეტის“ მიერ შპს „ჯეოსელის“ 100 პროცენტის წილის შეძენის ტრანზაქცია მოკლე ტექსტური შეტყობინებების მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არ წარმოადგენს ჰორიზონტალური კონცენტრაციას, რადგან კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტები არ წარმოადგენენ კონკურენტებს იმ თვალსაზრისით, რომ ბაზრის ამ სეგმენტზე ფაქტიურად მხოლოდ შპს „ჯეოსელი“ საქმიანობს (სს „სილქნეტის“ მიერ აბონენტებისათვის “CDMA” ტექნოლოგიით მობილური მომსახურების მიწოდება არ წარმოადგენს “GSM” ტექნოლოგიით მომსახურების მიწოდების ჩანაცვლებად მომსახურებას). აღნიშნულიდან გამომდინარე ტრანზაქციის განხორციელებამდე და ტრანზაქციის განხორციელების შემდეგ ორივე კომპანიის ჯამური საბაზრო ხვედრითი წილი და კონცენტრაციის დონე არ შეიცვლება. შესაბამისად, კონცენტრაცია პირდაპირ გავლენას არ ახდენს კონკურენციის ინტენსიურობაზე და მისი საშუალებით კონკურენციაში მონაწილე ავტორიზებულ პირებს შორის კონკურენცია არ იზღუდება. იმის გათვალისწინებით, რომ ადგილი არ აქვს ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენტების საერთო რაოდენობის შემცირებას, ამიტომ კონკურენციაში მყოფი რომელიმე ავტორიზებული პირის საბაზრო ძალაუფლება არ ძლიერდება. ამასთან ერთად, აღნიშნული მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მომხმარებელთა მხრიდან მომსახურების მიმწოდებლების შეცვლის შესაძლებლობა არსებობს. შესაბამისად, კონცენტრაცია ხელს არ შეუშლის ბაზარზე არსებულ კონკურენციას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ბაზრის ამ სეგმენტზე სს „სილქნეტის“ მიერ შპს „ჯეოსელის“ წილის შეძენის ტრანზაქცია ბაზარზე არსებულ კონკურენციასთან თავსებადია.

## 7. პაკეტური შეთავაზებები

როგორც სს „სილქნეტი“ ასევე შპს „ჯეოსელი“ მომხმარებლებს სთავაზობს ორი, სამი და ოთხი მომსახურების ნაკრებს ერთ პაკეტად, თუმცა მიუხედავად ამისა, ყველა სახის ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება ხელმისაწვდომია ინდივიდუალურადაც. სს „სილქნეტის“ სტრატეგიული გეგმის მიხედვით ფიქსირებული და მობილური ქსელების კონვერგაციის შემდეგ, კომპანიებისთვის სხვადასხვა მომსახურებების ერთ პაკეტში გაერთიანება უფრო მარტივად იქნება შესაძლებელი, თუმცა ამის გამოცდილება კომპანიებში ისედაც არსებობდა („ჯეოსელის და სილქნეტის ტვისტი მეტი კომფორტისათვის!“). ფიქსირებული და მობილური ქსელების კონვერგაციის შედეგად სატელეკომუნიკაციო ბაზარზე შპს „მაგთიკომი“ მომხმარებლებს სთავაზობს ერთ პაკეტში განთავსებული ყველაზე უფრო მეტ განსხვავებულ მომსახურებას („მაგთის ინტერნეტი და IP ტელევიზია უკვე შენს ქალაქში“ - ახალციხის, ახალქალაქის, ბათუმის, ბოლნისის, ბორჯომის, გარდაბანის, გორის, გურჯაანის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თელავის, კასპის, ლაგოდეხის, მარნეულის, ოზურგეთის, რუსთავის, საგარეჯოს, სამტრედიის, სენაკის, სურამის, ფოთის, ქობულეთის, ქუთაისის, ხაშურის, ხონის, წყალტუბოსა და ყვარლის მოსახლეობამ ისარგებლეთ ინტერნეტის, IP ტელევიზიის, ფიქსირებული ტელეფონისა და მობილურის ერთიანი პაკეტით!). დღეისათვის ელექტრონული კომუნიკაციების ბაზარზე მხოლოდ შპს „მაგთიკომი“ სთავაზობს მომხმარებლებს ასეთ სახის ერთიან პაკეტს. ბაზრის ანალიზიდან ირკვევა, რომ შპს „მაგთიკომის“ მიერ რამდენიმე მომსახურების ერთ პაკეტში შეფუთვამ გარკვეულწილად გამოიწვია მისი საბაზრო პოზიციების გაძლიერება, თუმცა ხშირია შემთხვევები, როდესაც მომხმარებლები არჩევენ აკეთებენ პაკეტში შემავალი მომსახურებების ინდივიდუალურად, სხვა კონკურენტი ავტორიზებული პირებისგან შეძენის სასარგებლოდაც.

სს „სილქნეტის“ და შპს „ჯეოსელის“ 2018 წლის 20 თებერვლის N6/928-18 (კომისიაში რეგისტრაციის ნომერი) ერთობლივი წერილის თანახმად, ტრანზაქციის განხორციელების შემდგომაც გაგრძელდება დღეს არსებული მიდგომა, კერძოდ, მომხმარებლებს არ შეეზღუდებათ არჩევანის უფლება და შესაძლებლობა ექნებათ სხვა სერვისებისაგან დამოუკიდებლად მიიღონ მათთვის სასურველი მობილური ან ფიქსირებული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება გონივრულ, არადისკრიმინაციულ და ხელმისაწვდომ ფასად. აღნიშნული მიდგომა ეფუძნება ბაზარზე არსებულ მოთხოვნას, რაც თავის მხრივ, განაპირობებს სხვადასხვა მოთხოვნების მქონე მომხმარებლებზე მორგებული (როგორც ცალკე მდგომი, ასევე კონვერგენტული) მომსახურებების პაკეტების ფორმირებას. შესაბამისად, იმ დრომდე, ვიდრე ბაზარზე იქნება ცალკე მდგომ მომსახურებებზე მოთხოვნა, მომხმარებლები უზრუნველყოფილი იქნებიან ამგვარი, ცალკე მდგომი მომსახურების არჩევის შესაძლებლობით.

სატელეკომუნიკაციო ბაზარზე უკვე მოქმედებს ერთი კონვერგენტული ოპერატორი, რომელიც მომხმარებლებს სთავაზობს ამგვარ პაკეტებს, ამასთან დამატებით, მომხმარებლებისათვის ხელმისაწვდომია ბაზარზე მოქმედი სხვა მობილური და ფიქსირებული ოპერატორების სერვისები. მეორე კონვერგენტული ოპერატორის გაჩენით (რომელსაც შესაძლებლობა ექნება, მომხმარებლებს მსგავსი, ალტერნატიული ე.წ. „multiple play“ მომსახურებათა ნაკრები) სატელეკომუნიკაციო ბაზარზე კონკურენცია გაიზრდება,

მეტი არჩევანი გაუჩნდებათ მომხმარებლებს და შესაძლებლობა ექნებათ, სხვადასხვა ოპერატორების მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი და ურთიერთჩანაცვლებადი სამომხმარებლო პაკეტებიდან საკუთარი მოთხოვნების გათვალისწინებით, შეარჩიონ მათთვის სასურველი და ხელსაყრელი ცალკე მდგომი მომსახურება ან მომსახურებათა ნაკრები.

## საბითუმო მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტები

### 1. ურთიერთჩართვა ფიქსირებულ სადენიან და უსადენო (CDMA) ქსელში

ფიქსირებული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულება) საბითუმო ბაზრის შესაბამისი სეგმენტზე კომისიის №428/9 17.09.2010 გადაწყვეტილებით სს „სილქნეტი“ ცნობილი იქნა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირად ფიქსირებული სადენიანი საკომუნიკაციო მომსახურების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე და დაეკისრა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სპეციფიკური ვალდებულებები, მათ შორის, დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება, დაშვების ვალდებულება, სატარიფო რეგულირება, ინფორმაციის გამჭვირვალობის ვალდებულება და განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება. ამავე გადაწყვეტილების თანახმად, ფიქსირებული უსადენო საკომუნიკაციო მომსახურების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე სს „სილქნეტი“, ბაზრის დაბალი საპროცენტო ხვედრითი წილის გამო ცნობილი არ იქნა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირად.

მობილური ხმოვანი მომსახურების საცალო ბაზარზე შპს „ჯეოსელის“ კონკურენტი ავტორიზებული პირები შპს „მაგთიკომში“ და შპს „ვიონი საქართველო“ სს „სილქნეტის“ ფიქსირებულ ქსელში ურთიერთჩართვის (ზარის წამოწყება/ზარის დასრულება) მომსახურებით სარგებლობენ. იმის გათვალისწინებით, რომ ბაზრის ამ სეგმენტზე სს „სილქნეტი“ ცნობილია მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირად და დაკისრებული აქვს სპეციფიკური ვალდებულებები, მათ შორის სატარიფო რეგულირება, არ არსებობს იმის საფრთხე, რომ მიუხედავად მისი ინტერესისა, სს „სილქნეტმა“ შესძლოს ბაზრის ამ სეგმენტზე საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენება. გარდა ზემოაღნიშნულისა, კომისიის 2017 წლის 19 ოქტომბრის N 684/19 გადაწყვეტილების თანახმად ფიქსირებულ ქსელში ურთიერთჩართვის არსებული ტარიფი 2 თეთრი (გადასახადების ჩათვლით) შემდეგი გრაფიკის მიხედვით პერიოდულად შემცირდება.

ურთიერთჩართვის მომსახურება	2018 წლის 1 ივლისიდან	2019 წლის 1 იანვრიდან
ზარის წამოწყება ადგილობრივ დონეზე, თეთრი (გადასახადების გარეშე)	1,04	0,38
ზარის წამოწყება ტრანზიტულ დონეზე, თეთრი (გადასახადების გარეშე)	1,05	0,41
ზარის დასრულება ადგილობრივ დონეზე, თეთრი (გადასახადების გარეშე)	0,99	0,28
ზარის დასრულება ტრანზიტულ დონეზე, თეთრი (გადასახადების გარეშე)	1,01	0,32

ახალი ტარიფის გაანგარიშება ეფუძნება მომავალზე ორიენტირებული გრძელვადიანი ნაზარდი დანახარჯების მოდელს („LRIC“), რომელიც ითვალისწინებს ოპერატორის მიერ მხოლოდ ეფექტურად გაწეულ დანახარჯებს.

### კონცენტრაციის შეფასება

კონცენტრაცია ვერტიკალურია, რადგან კონცენტრაციაში მონაწილე ავტორიზებული პირები ერთი და იმავე მომსახურების მიწოდების ჯაჭვის სხვადასხვა დონეზე საქმიანობენ, სადაც სს „სილქნეტი“ უზრუნველყოფს აღმავალი მიმართულების საბითუმო მომსახურებას, რომელიც აუცილებელია საცალო ხმოვანი (მობილური და ფიქსირებული) მომსახურების მიწოდების უზრუნველსაყოფად. საბითუმო მომსახურებაზე სხვა კონკურენტი ავტორიზებული პირების დაშვების მნიშვნელოვანი შეზღუდვის შესაძლებლობების შეფასებისას დადგინდა, რომ სს „სილქნეტზე“ დაკისრებული „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სპეციფიკური ვალდებულებების გათვალისწინებით კომპანიის შესაძლებლობები არ არის იმ მოცულობის, რომ მან შესძლოს საბითუმო მომსახურებაზე დაშვების ისეთი შეზღუდვა, რომელიც უარყოფითად აისახება საბითუმო მომსახურების ხელმისაწვდომობაზე ფასისა და ხარისხის გაუარესების თვალსაზრისით. აღნიშნულის შეფასებისას ასევე გასათვალისწინებელია, რომ სს „სილქნეტის“ მხრიდან საბითუმო მომსახურებაზე დაშვების შეზღუდვის ინტერესი ვერ იქონიებს მის კონკურენტებზე საზიანო გავლენას დანახარჯების გაზრდის თვალსაზრისით, რადგან აღნიშნულ მომსახურებაზე კომისიის მიერ დადგენილია ზედა ზღვრული ტარიფი. ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ კომისიის მიერ ამ მომსახურებაზე LRIC მოდელით გაანგარიშებული ტარიფი ძალში შედის 2018 წლის ივლისიდან, რომელის გაანგარიშება ეფუძნება მომავალზე ორიენტირებული გრძელვადიანი ნაზარდი დანახარჯების მოდელს („LRIC“), რაც ითვალისწინებს ოპერატორის მიერ მხოლოდ ეფექტურად გაწეულ დანახარჯებს. შესაბამისად, არ არსებობს საცალო ხმოვანი მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე პოტენციური კონკურენტების შესვლის დაბრკოლებები, რომლებიც შესაძლოა წარმოიშობილიყო ბაზრის ამ სეგმენტზე აღნიშნული კონცენტრაციის შედეგად.

## 2. ურთიერთჩართვა მობილურ ქსელში

მოდრავი საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულება) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კომისიის №240/9 21.05.2010 გადაწყვეტილებით შპს „ჯეოსელი“ ცნობილი იქნა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირად და დაეკისრა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სპეციფიკური ვალდებულებები, მათ შორის, დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება, დაშვების ვალდებულება, სატარიფო რეგულირება, ინფორმაციის გამჭვირვალობის ვალდებულება და განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება.

ფიქსირებული ხმოვანი მომსახურების საცალო ბაზარზე სს „სილქნეტის“ კონკურენტი ავტორიზებული პირები შპს „ჯეოსელის“ მობილურ ქსელში ურთიერთჩართვის (ზარის წამოწყება/ზარის დასრულება) მომსახურებით სარგებლობენ. იმის გათვალისწინებით, რომ ბაზრის ამ სეგმენტზე შპს „ჯეოსელი“ ცნობილია მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირად და დაკისრებული აქვს სპეციფიკური ვალდებულებები, მათ შორის სატარიფო რეგულირება, არ არსებობს იმის საფრთხე, რომ მიუხედავად მისი ინტერესისა სს „სილქნეტმა“ შესძლოს ბაზრის ამ სეგმენტზე საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენება. გარდა ზემოაღნიშნულისა, კომისიის 2017 წლის 19 ოქტომბრის N 684/19 გადაწყვეტილების თანახმად, მობილურ ქსელში ურთიერთჩართვის არსებული ტარიფი 3.5 თეთრი (გადასახადების ჩათვლით) შემდეგი გრაფიკის მიხედვით პერიოდულად შემცირდება.

ურთიერთჩართვის მომსახურება	2018 წლის 1 ივლისიდან	2019 წლის 1 იანვრიდან
ზარის წამოწყება, თეთრი (გადასახადების გარეშე)	2,16	1,44
ზარის დასრულება, თეთრი (გადასახადების გარეშე)	1,81	0,75

ახალი ტარიფის გაანგარიშება ეფუძნება მომავალზე ორიენტირებული გრძელვადიანი ნაზარდი დანახარჯების მოდელს („LRIC“), რომელიც ითვალისწინებს ოპერატორის მიერ მხოლოდ ეფექტურად გაწეულ დანახარჯებს.

### კონცენტრაციის შეფასება

კონცენტრაცია ვერტიკალურია, რადგან კონცენტრაციაში მონაწილე ავტორიზებული პირები ერთი და იმავე მომსახურების მიწოდების ჯაჭვის სხვადასხვა დონეზე საქმიანობენ, სადაც შპს „ჯეოსელი“ უზრუნველყოფს აღმავალი მიმართულების საბითუმო მომსახურებას, რომელიც აუცილებელია საცალო ხმოვანი (მობილური და ფიქსირებული) მომსახურების მიწოდების უზრუნველსაყოფად. საბითუმო მომსახურებაზე სხვა კონკურენტი ავტორიზებული პირების დაშვების მნიშვნელოვანი შეზღუდვის შესაძლებლობების შეფასებისას დადგინდა, რომ შპს „ჯეოსელზე“ დაკისრებული „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სპეციფიკური ვალდებულებების გათვალისწინებით კომპანიის შესაძლებლობები არ არის იმ მოცულობის, რომ მან შესძლოს საბითუმო მომსახურებაზე დაშვების ისეთი შეზღუდვა, რომელიც უარყოფითად აისახება საბითუმო მომსახურების ხელმისაწვდომობაზე ფასისა და ხარისხის გაუარესების თვალსაზრისით. აღნიშნულის შეფასებისას ასევე გასათვალისწინებელია, რომ შპს „ჯეოსელის“ მხრიდან საბითუმო მომსახურებაზე დაშვების შეზღუდვის ინტერესი ვერ იქონიებს მის კონკურენტებზე საზიანო გავლენას დანახარჯების გაზრდის თვალსაზრისით, რადგან აღნიშნულ მომსახურებაზე კომისიის მიერ დადგენილია ზედა ზღვრული ტარიფი. ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ კომისიის მიერ ამ მომსახურებაზე LRIC მოდელით გაანგარიშებული ტარიფი ძალში შედის 2018 წლის ივლისიდან, რომლის გაანგარიშება ეფუძნება მომავალზე ორიენტირებული გრძელვადიანი ნაზარდი დანახარჯების მოდელს („LRIC“), რაც ითვალისწინებს ოპერატორის მიერ მხოლოდ ეფექტურად გაწეულ დანახარჯებს. შესაბამისად, არ არსებობს საცალო ხმოვანი მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე პოტენციური კონკურენტების შესვლის დაბრკოლებები, რომლებიც შესაძლოა წარმოიშობილიყო ბაზრის ამ სეგმენტზე აღნიშნული კონცენტრაციის შედეგად.

### 3. სპილენძის წყვილებთან დაშვება


სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე კომისიის №620/9 06.11.2014 გადაწყვეტილებით სს „სილქნეტი“ ცნობილი იქნა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირად და დაეკისრა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სპეციფიკური ვალდებულებები, მათ შორის, დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება, დაშვების ვალდებულება, სატარიფო რეგულირება, ინფორმაციის გამჭვირვალობის ვალდებულება და განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება. სახაზო საკაბელო წყვილებით მომსახურებაზე ზედა ზღვრული ტარიფი თვეში შეადგენს 2,20 ლარს (გადასახადების გარეშე).

სს „სილქნეტის“ საკუთრებაში სულ 532,243 სპილენძის წყვილია, აქედან დაკავებული/აქტიური (მათ შორის იჯარით გაცემული) 291,615 წყვილია, ხოლო

თავისუფალი 240,628 წყვილი. სპილენძის წყვილები სატელეფონო ხმოვანი და xDSL ტექნოლოგიით ფიქსირებული ინტერნეტის აბონენტებისთვის მომსახურების მისაწოდებლად გამოიყენება. ალტერნატიული ოპერატორები სპილენძის წყვილებს ძირითადად ინტერნეტის საცალო მომსახურების მიწოდების მიზნით იღებენ იჯარით. ფიქსირებული ინტერნეტის საცალო ბაზარზე არსებული ტენდეციების თანახმად, ყოველწლიურად მცირდება xDSL ტექნოლოგიაზე ჩართული აბონენტების რაოდენობა.

აბონენტების შემცირებას ადგილი აქვს, როგორც სს „სილქნეტში“ ასევე სილქნეტის კონკურენტებთანაც, მათ შორის იმათთან, ვისაც სს „სილქნეტისგან“ იჯარით აქვს აღებული სპილენძის წყვილები. xDSL ტექნოლოგიების შესაძლებლობების მიუხედავად, საქართველოში ოპტიკური ინტერნეტი უფრო პოპულარულია. შესაბამისად, ოპერატორები ქსელის განვითარებისას არჩევენს ოპტიკურ ტექნოლოგიებზე აკეთებენ. გრაფიკი N 25-ზე მოცემულია სს „სილქნეტის“ მიერ იჯარით გაცემული სპილენძის წყვილების რაოდენობის შემცირების ტენდენცია.

გრაფიკი N25



### კონცენტრაციის შეფასება

კონცენტრაცია არ არის ვერტიკალური, რადგან კონცენტრაციაში მონაწილე ავტორიზებული პირები ერთი და იმავე მომსახურების მიწოდების ჯაჭვში არ საქმიანობენ. საბითუმო მომსახურებაზე სხვა კონკურენტი ავტორიზებული პირების დაშვების მნიშვნელოვანი შეზღუდვის შესაძლებლობების შეფასებისას დადგინდა, რომ სს „სილქნეტზე“ დაკისრებული

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სპეციფიკური ვალდებულებების გათვალისწინებით კომპანიის შესაძლებლობები არ არის იმ მოცულობის, რომ მან შესძლოს საბითუმო მომსახურებაზე დაშვების ისეთი შეზღუდვა, რომელიც უარყოფითად აისახება საბითუმო მომსახურების ხელმისაწვდომობაზე ფასისა და ხარისხის გაუარესების თვალსაზრისით. აღნიშნულის შეფასებისას ასევე გასათვალისწინებელია, რომ სს „სილქნეტის“ მხრიდან საბითუმო მომსახურებაზე დაშვების შეზღუდვის ინტერესი ვერ იქონიებს მის კონკურენტებზე საზიანო გავლენას დანახარჯების გაზრდის თვალსაზრისით, რადგან აღნიშნულ მომსახურებაზე კომისიის მიერ დადგენილი ზედა ზღვრული ტარიფი 2.20 ლარის ოდენობით, საშუალებას იძლევა ალტერნატიული ოპერატორისთვის ეკონომიკურად გაიმეოროს სს „სილქნეტის“ მიერ ფიქსირებული ინტერნეტის საცალო ბაზარზე xDSL ტექნოლოგიით შეთავაზებული მომსახურება. შესაბამისად, არ არსებობს ინტერნეტ საცალო მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე პოტენციური კონკურენტების შესვლის დაბრკოლებები, რომლებიც შესაძლოა წარმოშობილიყო ბაზრის ამ სეგმენტზე აღნიშნული კონცენტრაციის შედეგად.

#### 4. კანალიზაციაში კაბელების გატარება

საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე კომისიის №620/9 06.11.2014 გადაწყვეტილებით სს „სილქნეტი“ ცნობილი იქნა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირად და დაეკისრა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სპეციფიკური ვალდებულებები, მათ შორის, დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება, დაშვების ვალდებულება, სატარიფო რეგულირება, ინფორმაციის გამჭვირვალობის ვალდებულება და განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება. კომისიის გადაწყვეტილებით დადგენილია 100 მმ-იანი საკანალიზაციო მილის ერთ არხ კილომეტრზე თვეში ზედა ზღვრული ტარიფი 370 ლარის ოდენობით, გადასახადების გარეშე. ამასთან ერთად კაბელის დიამეტრის/კვეთის მიხედვით ტარიფის გაანგარიშების ახალი ფორმულის შემოღების შემდეგ 15 მმ-იანი კაბელის საკანალიზაციო არხში გატარების საფასური თვეში ერთ კილომეტრზე 2016 წლიდან დაახლოებით 21 ლარს შეადგენს.

სს „სილქნეტის“ საკუთრებაში სულ 6386 კილომეტრი საკანალიზაციო არხია. საკანალიზაციო არხი ფაქტიურად ყველა სატელეკომუნიკაციო მომსახურების მისაწოდებლად გამოიყენება. სს „სილქნეტის“ კონკურენტი ავტორიზებული პირები სს „სილქნეტისგან“ საკანალიზაციო არხებს იჯარით ოპტიკური კაბელების გატარების გამო იღებენ, რომელიც თავის მხრივ ოპტიკური ინტერნეტის საცალო აბონენტებისთვის მისაწოდებლად გამოიყენება. ოპტიკური კაბელების შესაძლებლობიდან გამომდინარე ერთი და იგივე მიმართულებაზე ოპერატორის მიერ იჯარით აღებული საკანალიზაციო არხების მოცულობა არ იზრდება. ამასთან,

ფიქსირებული ინტერნეტის საცალო ბაზარზე ახალი შემომსვლელების ნაკლებობის გამო, მცირეა საკანალიზაციო არხების იჯარაზე ავტორიზებული პირების მოთხოვნა. გრაფიკი N26-ზე მოცემულია საკანალიზაციო არხების იჯარის ტენდენცია.

გრაფიკი N26



### კონცენტრაციის შეფასება

კონცენტრაცია არ არის ვერტიკალური, რადგან კონცენტრაციაში მონაწილე ავტორიზებული პირები ერთი და იმავე მომსახურების მიწოდების ჯაჭვში არ საქმიანობენ. საბითუმო მომსახურებაზე სხვა კონკურენტი ავტორიზებული პირების დაშვების მნიშვნელოვანი შეზღუდვის შესაძლებლობების შეფასებისას დადგინდა, რომ სს „სილქნეტზე“ დაკისრებული „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სპეციფიკური ვალდებულებების გათვალისწინებით კომპანიის შესაძლებლობები არ არის იმ მოცულობის, რომ მან შესძლოს საბითუმო მომსახურებაზე დაშვების ისეთი შეზღუდვა, რომელიც უარყოფითად აისახება საბითუმო მომსახურების ხელმისაწვდომობაზე ფასისა და ხარისხის გაუარესების თვალსაზრისით. აღნიშნულის შეფასებისას ასევე გასათვალისწინებელია, რომ სს „სილქნეტის“ მხრიდან საბითუმო მომსახურებაზე დაშვების შეზღუდვის ინტერესი ვერ იქონიებს მის კონკურენტებზე საზიანო გავლენას დანახარჯების გაზრდის თვალსაზრისით, რადგან აღნიშნულ მომსახურებაზე კომისიის მიერ დადგენილია ზედა ზღვრული ტარიფი 21 ლარის ოდენობით (15 მმ-იან კაბელზე - ყველაზე უფრო გამოყენებადი კაბელი) საშუალებას იძლევა ალტერნატიული ოპერატორისთვის ეკონომიკურად გაიმეოროს სს „სილქნეტის“ მიერ ფიქსირებული ინტერნეტის საცალო ბაზარზე შეთავაზებული მომსახურება. შესაბამისად, არ არსებობს საცალო ინტერნეტ და ხმოვანი მომსახურებების ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე პოტენციური კონკურენტების შესვლის დაბრკოლებები, რომლებიც შესაძლოა წარმოიშობილიყო ბაზრის ამ სეგმენტზე აღნიშნული კონცენტრაციის შედეგად.

## 5. ინტერნეტის საბითუმო მომსახურება

ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე კომისიის №57-9 29.01.2015 გადაწყვეტილებით სს „სილქნეტი“ ცნობილი იქნა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირად და დაეკისრა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სპეციფიკური ვალდებულებები, მათ შორის, დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება, დაშვების ვალდებულება, სატარიფო რეგულირება, ინფორმაციის გამჭვირვალობის ვალდებულება და განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება. ზედა ზღვრული ტარიფი მგბტ/წმ-ზე თვეში 32 ლარს შეადგენს, გადასახადების გარეშე.

გლობალური ინტერნეტის რესურსებთან დაშვება ფიქსირებული და მობილური საცალო ინტერნეტ მომსახურების მისაწოდებლად გამოიყენება. საქართველოში გლობალური ინტერნეტის რესურსებთან დაშვებას სს „სილქნეტი“ გარდა სხვა ავტორიზებული პირებიც ახორციელებენ მათ შორის, ინტერნეტის ყველაზე უფრო დიდ იმპორტიორი შპს „კავკასუს ონლაინია“. შპს „კავკასუს ონლაინმა“ საკუთარი საცალო აქტივების შპს „მაგთიკომისთვის“ გადაცემის შემდეგ დაკარგა ინტერნეტის საცალო ბაზარზე კონკურენტების შეზღუდვის ინტერესი და მოტივაცია. შესაბამისად, შპს „კავკასუს ონლაინმა“ პირველმა შეამცირა ამ მომსახურებაზე ტარიფები იმისათვის, რომ ავტორიზებულ პირებზე მეტი საბითუმო მომსახურება გაეყიდა. სს „სილქნეტმა“ საპასუხო რეაგირების ფარგლებში შპს „კავკასუს ონლაინის“ პარალელურად შეამცირა მომსახურების მიწოდების ტარიფები.

სს „სილქნეტისა“ და შპს „კავკასუს ონლაინის“ მიერ დაწესებული ტარიფები მოცემულია ცხრილში N27

ცხრილი N27

	სს "სილქნეტი"	შპს "კავკასუს ონლაინი"
სიჩქარე (მბ/წმ)	ტარიფი ლარში (დღგ-ს გარეშე)	ტარიფი ლარში (დღგ-ს გარეშე)
1-50	18.00	19
51-100	17.00	18
101-200	16.00	17
201-500	15.00	16
501-2000	14.00	15
1001-10000	N/A	14.5

საცალო ინტერნეტის მისაწოდებლად ალტერნატიულ, მათ შორის wifi ოპერატორებს ამ მომსახურებასთან ერთად უწევთ ლოკალური ინტერნეტის შეძენა, გლობალური და ლოკალური ინტერნეტის დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირება ("IP Transit") და

გაფართოებული ურთიერთჩართვა. ამასთან, გასათვალისწინებელია, ისიც რომ საქართველოში არ მოქმედებს ინტერნეტის გაცვლის ნეიტრალური ცენტრი. შესაბამისად, მცირე და საშუალო ზომის ოპერატორებს უწევთ საბითუმო ინტერნეტის პროვაიდერებისგან თანალოკაციის ფართის იჯარა. კომისიის №498/9 31.08.2007 გადაწყვეტილებით სს „სილქნეტს“ ინფორმაციის გამჭვირვალობის ვალდებულების ფარგლებში დაეკისრა მაგისტრალური საკომუნიკაციო არხებით მომსახურების შეთავაზების ოფერტაში თანალოკაციის ფართზე დაშვების პირობების გამოქვეყნება.

*შენიშვნა: გაფართოებული ურთიერთჩართვა უზრუნველყოფს ინტერნეტის ავტონომიური ქსელის მფლობელ ოპერატორებს შორის ინტერნეტის ტრაფიკის ურთიერთგაცვლას. გაფართოებული ურთიერთჩართვა მსურველ ოპერატორს მიეწოდება თანალოკაციის ფართზე ურთიერთჩართვის წერტილში შესაბამისი სიმძლავრის -საკომუნიკაციო პორტების გამოყოფით. გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურება კომისიის 2014 წლის 30 ოქტომბრის N 608/9 გადაწყვეტილებით ბაზრის ამ სეგმენტზე არსებული ეფექტური კონკურენციის გამო დერეგულირებულია.*

მობილური ინტერნეტის საცალო მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე შპს „ჯეოსელის“ კონკურენტი ავტორიზებული პირები შპს „ვიონი საქართველო“ და შპს „მაგთიკომი“ სს „სიქლნეტისგან“ არ ახდენენ ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან მომსახურების შეძენას. საქართველოში ავტორიზებულ პირებზე გადაყიდული საბითუმო ინტერნეტის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილი N 28-ში

საქართველოში სხვა ავტორიზებულ პირებზე გადაყიდული ინტერნეტის შესახებ ინფორმაცია ავტორიზებული პირების, მიერთების სიჩქარის (მბ/წმ) და ფასების მიხედვით

ცხრილი N28

კომპანია	გლობალური		ლოკალური		ტრანსპორტი	
	მბ/წმ	ფასი	მბ/წმ	ფასი	მბ/წმ	ფასი
დელტა კომმი	1,145	29.34	3,280	3.58	-	-
კავკასუს ონლაინი	6,916	27.93		-	20,070	2.16
ფოპტნეტი	35,000	16.99	29,130	-	-	-
სილქნეტი	6,807	26.73	15,858	2.91	21,160	1.14
რკინიგზის ტელეკომი	945	30.47	2,310	2.07	700	0.79
სისტემნეტი	31,572	23.79		-	-	-

შენიშვნა:

1. შპს „სისტემნეტი“ ახდენს შპს „ფოპტნეტისგან“ ნაყიდი ინტერნეტის გადაყიდვას, ხოლო შპს „რკინიგზის ტელეკომი“ ახდენს შპს „კავკასუს ონლაინისგან“ ნაყიდ ინტერნეტს გადაყიდვას.
2. შპს „დელტა კომმის“ 100 პროცენტის წილის ფლობელია შპს „მაგთიკომი“

3. შპს „სისტემნეტი“ და შპს „ფოპტნეტი“ აფილირებულია შპს „ახალი ქსელებთან“, შპს „ახტელთან“ და შპს „ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციასთან“
4. შპს „რკინიგზის ტელეკომი“ და შპს „კავკასუს ონლაინი“ აფილირებული პირებია. არც ერთი მათგანი არ საქმიანობს ინტერნეტის საცალო ბაზარზე.

### კონცენტრაციის შეფასება

კონცენტრაცია ვერტიკალურია, რადგან კონცენტრაციაში მონაწილე ავტორიზებული პირები ერთი და იმავე მომსახურების მიწოდების ჯაჭვის სხვადასხვა დონეზე საქმიანობენ, სადაც სს „სილქნეტი“ უზრუნველყოფს აღმავალი მიმართულების საბითუმო მომსახურებას, რომელიც აუცილებელია მობილური და ფიქსირებული ინტერნეტ საცალო მომსახურების მიწოდების უზრუნველსაყოფად. საბითუმო მომსახურებაზე სხვა კონკურენტი ავტორიზებული პირების დაშვების მნიშვნელოვანი შეზღუდვის შესაძლებლობების შეფასებისას დადგინდა, რომ სს „სილქნეტზე“ დაკისრებული „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სპეციფიკური ვალდებულებების გათვალისწინებით კომპანიის შესაძლებლობები არ არის იმ მოცულობის, რომ მან შესძლოს საბითუმო მომსახურებაზე დაშვების ისეთი შეზღუდვა, რომელიც უარყოფითად აისახება საბითუმო მომსახურების ხელმისაწვდომობაზე ფასისა და ხარისხის გაუარესების თვალსაზრისით, რადგან ბაზრზე არსებობს ამ მომსახურების სხვა ისეთი ავტორიზებული პირები, რომელსაც არ გააჩნიათ საცალო საქმიანობა. აღნიშნულის შეფასებისას ასევე გასათვალისწინებელია, ისიც რომ ამ მომსახურების შპს „ჯეოსელის“ კონკურენტებისთვის (შპს „მაგთიკომი“ და შპს „ვიონი საქართველო“) მიწოდებას უზრუნველყოფს შპს „კავკასუს ონლაინი“, რომელიც ინტერნეტის საცალო მომსახურებას არ ეწევა. აღნიშნულის გათვალისწინებით, არ არსებობს ინტერნეტის საცალო მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე პოტენციური კონკურენტების შესვლის მნიშვნელოვანი დაბრკოლებები, რომლებიც წარმოიშობოდა ბაზრის ამ სეგმენტზე აღნიშნული კონცენტრაციის შედეგად.

### 6. მაგისტრალურ არხებთან დაშვება.

მაგისტრალურ არხებთან ( არხის სიმძლავრე „E1“, „STM 1“, „STM 16“ და ოპტიკურ ბოჭკოვანი წყვილი,) დაშვების მომსახურების ბაზრის სეგმენტზე კომისიის №498/9 31.08.2007 გადაწყვეტილებით სს „სილქნეტი“ ცნობილი იქნა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირად და დაეკისრა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სპეციფიკური ვალდებულებები, მათ შორის, დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება, დაშვების ვალდებულება და ინფორმაციის გამჭვირვალობის ვალდებულება. აღნიშნული გადაწყვეტილების მიხედვით განისაზღვრა ბაზრის სეგმენტების შემდეგი გეოგრაფიულ საზღვრები: ა) ზონათშორისი მომსახურების

ზონა - საქართველოს მთელი ტერიტორია; ბ) ადგილობრივი მომსახურების ზონა - თბილისი, ქუთაისი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით განსაზღვრული სატელეკომუნიკაციო ბაზრის შესაბამისი სეგმენტების გარდა, სს „სილქნეტი“ უზრუნველყოფს სხვა ავტორიზებულ პირებს ზონათშორის (ქალაქთა და დასახლებულ პუნქტთა შორის) და ადგილობრივ ზონაში საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვების („Ethernet“ და “DWDM“ მონაცემების გადაცემა) მომსახურებებით. აღნიშნული მომსახურებებით სარგებლობენ, როგორც ფიქსირებული ქსელის, ასევე მობილური ქსელის ოპერატორები. ოპტიკურ-ბოჭკოვან არხებთან და ტერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვება („Ethernet“ და “DWDM“ მონაცემების გადაცემა) ოპერატორისთვის სხვადასხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების ძირითად კომპონენტს წარმოადგენს. აღნიშნული მომსახურებით აქტიურად სარგებლობენ wifi ტექნოლოგიაზე მომუშავე მცირე და საშუალო ზომის ოპერატორები.

იმის გათვალისწინებით, რომ მომსახურების ეს სახეები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საცალო ინტერნეტ მომსახურების მიწოდების ერთიან ჯაჭვში აღნიშნული კონცენტრაციის შეფასებისას განსაზღვრული იქნა ამ მომსახურებებისთვის ბაზრის შესაბამისი სეგმენტები და მათი მიწოდების გეოგრაფიული საზღვრები.

სატელეკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტები:

1. ოპტიკურ-ბოჭკოვან არხებთან დაშვების მომსახურების სეგმენტი
2. საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვების მომსახურების სეგმენტი („Ethernet“ და “DWDM“ მონაცემების გადაცემა)

ზემოაღნიშნული ბაზრის სეგმენტების გეოგრაფიულ ზონები განისაზღვრა საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების საზღვრების მიხედვით, სადაც ავტორიზებული პირებს გააჩნიათ ან ოპტიკური წყვილები ან საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვების რესურსები.

ზონათშორისი გეოგრაფიული ზონების მისამართები:

A-წერტილი	B-წერტილი	სილქნეტი
1 აბასთუმანი	ახალციხე	✓
2 აბაშა	სამტრედია	✓
3 აგურქარხანა	აბაშა	
4 აგურქარხანა	სენაკი	
5 ადიგენი	ახალციხე	✓
6 ადიგენი	ხულო	✓

7	ასპინძა	ახალციხე	✓
8	ასპინძა	ახალქალაქი	✓
9	ახალციხე	ხულო	
10	ახალციხე (ვალე)	ახალციხე	✓
11	ახმეტა	თელავი	✓
12	ახმეტა	თიანეთი	✓
13	ბათუმი	ხელვაჩაური	✓
14	ბათუმი	ხულო	
15	ბათუმი	ქობულეთი	✓
16	ბათუმი	მახინჯაური	
17	ბათუმი	ფოთი	
18	ბათუმი	სარფი	✓
19	ბაკურციხე	საგარეჯო	
20	ბაკურციხე	ყვარელი	
21	ბაკურციხე	თელავი	
22	ბაკურციხე	ლაგოდეხი	
23	ბორჯომი	ბაკურიანი	✓
24	გარდაბანი	მარნეული	✓
25	გარდაბანი	რუსთავი	✓
26	გარდაბანი	თბილისი (ფონიჭალა)	
27	გაჩიანი	რუსთავი	
28	გომი	თბილისი (ფონიჭალა)	
29	გუდაური	დუშეთი	✓
30	გუდაური	ყვარელი	
31	გუდაური	სტეფანწმინდა (ყაზბეგი)	✓
32	გურჯაანი	თელავი	✓
33	გურჯაანი	ყვარელი	✓
34	გურჯაანი	საგარეჯო	✓
35	გურჯაანი	თელავი (წინანდალი)	✓
36	დმანისი	ბოლნისი	✓
37	დმანისი	გუგუთი	✓
38	ველი	გაჩიანი	
39	ზესტაფონი (არგვეთა)	ზესტაფონი	
40	ზუგდიდი	ხოზი	✓
41	ზუგდიდი	ფოთი	
42	ზუგდიდი	სენაკი	✓
43	ზუგდიდი	ზუგდიდი (ანაკლია)	
44	თბილისი	ახალქალაქი	✓
45	თბილისი	ახალციხე	✓
46	თბილისი	ბათუმი	✓
47	თბილისი	ბოლნისი	✓
48	თბილისი	დუშეთი	✓
49	თბილისი	გარდაბანი	✓

50	თბილისი	გორი	
51	თბილისი	იგოეთი	
52	თბილისი	ქანდა	
53	თბილისი	კასპი	
54	თბილისი	ხაშური	✓
55	თბილისი	ხაშური (ქვიშხეთი)	
56	თბილისი	ქობულეთი	
57	თბილისი	ქუთაისი	✓
58	თბილისი	ლანჩხუთი	
59	თბილისი	მარნეული	✓
60	თბილისი	მარნეული (სადახლო)	
61	თბილისი	მცხეთა	✓
62	თბილისი	ოზურგეთი	
63	თბილისი	ოზურგეთი (ნატანები)	
64	თბილისი	ფოთი	
65	თბილისი	რუსთავი	✓
66	თბილისი	საგარეჯო	✓
67	თბილისი	სამტრედია	✓
68	თბილისი	სენაკი	
69	თბილისი	თელავი	✓
70	თბილისი	წალკა	✓
71	თბილისი	წითელი ხიდი	
72	თბილისი	ურეკი	
73	თბილისი	ველი	
74	თბილისი	ზესტაფონი	
75	თბილისი	ზუგდიდი	
76	თბილისი	ზუგდიდი (ანაკლია)	
77	თბილისი (ზაჰესი)	მცხეთა	
78	თბილისი (ზაჰესი)	თბილისი (ავჭალა)	
79	თეთრიწყარო	მარნეული	✓
80	თეთრიწყარო (მარაბდა)	თბილისი (ფონიჭალა)	
81	თერჯოლა	ზესტაფონი	
82	თიანეთი	თელავი	✓
83	თიანეთი	დუშეთი	✓
84	იგოეთი	გორი	
85	იგოეთი	ხაშური (ქვიშხეთი)	
86	კაზრეთი	ბოლნისი	
87	კასპი	თბილისი (ფონიჭალა)	
88	კასპი	გორი	
89	კასპი	მცხეთა	✓
90	კვალიანი	სენაკი	
91	კვალიანი	ჩალადილი	
92	კოლოზანი	აბაშა	

93	კოლოზანი	ფოთი	
94	კოპიტნარი	სამტრედია	
95	კოპიტნარი	სამტრედია	
96	კოპიტნარი	წყალტუბო (ბროწეულა)	
97	ლანჩხუთი	სამტრედია	✓
98	ლანჩხუთი (ნიგოეთი)	ლანჩხუთი	
99	ლანჩხუთი (ნიგოეთი)	სამტრედია (საჯავახო)	
100	ლარსი	სტეფანწმინდა (ყაზბეგი)	✓
101	ლიხი	ხარაგაული (მოლითი)	
102	ლიხი	ხარაგაული (წიფა)	
103	მარნეული	ბოლნისი	✓
104	მარნეული	ხარაგაული	
105	მარნეული	ხარაგაული (მოლითი)	
106	მარნეული	მარნეული (სადახლო)	
107	მარნეული	წითელი ხიდი	✓
108	მახინჯაური	ჩაქვი	
109	მცხეთა	გორი	✓
110	ნინოწმინდა	ახალქალაქი	✓
111	ნინოწმინდა	წალკა	✓
112	ოზურგეთი	ოზურგეთი (ნატანები)	
113	ოზურგეთი (ჯუმათი)	ლანჩხუთი (სუფსა)	
114	ოზურგეთი (ჯუმათი)	ლანჩხუთი	
115	რიონი	წყალტუბო (ბროწეულა)	
116	რიონი	ზესტაფონი (არგვეთა)	
117	სამტრედია (საჯავახო)	სამტრედია	
118	სენაკი	აბაშა	✓
119	სენაკი	ხოზი	✓
120	სენაკი	ფოთი	✓
121	სენაკი	სამტრედია	✓
122	სენაკი	ზესტაფონი	
123	სტეფანწმინდა (ყაზბეგი)	დუშეთი	✓
124	ურეკი	ლანჩხუთი	
125	ურეკი	ოზურგეთი (ნატანები)	
126	ურეკი	ლანჩხუთი (სუფსა)	
127	ქანდა	გორი	
128	ქარელი	გორი	✓
129	ქედა	ხელვაჩაური	✓
130	ქედა	შუახევი	✓
131	ქობულეთი	ლანჩხუთი	✓
132	ქობულეთი	ოზურგეთი	✓
133	ქობულეთი	ოზურგეთი (ნატანები)	
134	ქობულეთი	ფოთი	
135	ქობულეთი (ოჩხამური)	ქობულეთი	

136	ქობულეთი (ოჩხამური)	ოზურგეთი (ნატანები)	
137	ქუთაისი	გორი	
138	ქუთაისი	ხაშური (ქვიშხეთი)	
139	ქუთაისი	მარტვილი	
140	ქუთაისი	ფოთი	
141	ქუთაისი	სამტრედია	✓
142	ქუთაისი	სენაკი	
143	ქუთაისი	წყალტუბო	✓
144	ქუთაისი	ზესტაფონი	✓
145	ყვარელი	თელავი	✓
146	ყვარელი	ლაგოდეხი	✓
147	შუახევი	ხულო	✓
148	შულავერი	მარნეული	
149	ჩაქვი	ქობულეთი	✓
150	ძირულა	ზესტაფონი	
151	ძირულა	ხარაგაული	
152	წითელი ხიდი	რუსთავი	
153	წნორი	ბაკურციხე	
154	წნორი	სიღნაღი	✓
155	წნორი	დედოფლისწყარო	✓
156	წნორი	საგარეჯო	✓
157	ჭალადილი	ფოთი	
158	ჭიათურა	საჩხერე	✓
159	ჭიათურა	ზესტაფონი	✓
160	ხარაგაული	ზესტაფონი	✓
161	ხარაგაული (მოლითი)	ბოლნისი	
162	ხარაგაული (მოლითი)	თეთრიწყარო	
163	ხაშური	ბორჯომი	✓
164	ხაშური	გორი	
165	ხაშური	ქარელი	✓
166	ხაშური	ხარაგაული	✓
167	ხაშური	ხარაგაული (წიფა)	
168	ხაშური	ზესტაფონი	
169	ხაშური (ქვიშხეთი)	გორი	
170	ხაშური (ქვიშხეთი)	ახალციხე	

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით ირკვევა, რომ ზონათშორის ტერიტორიულ ერთეულებში ოპტიკურ-ბოჭკოვან ქსელთან და ტერმინალურ ელემენტებთან დაშვების საბითუმო მომსახურების სეგმენტზე 170 გეოგრაფიული მისამართიდან (A წერტილი - B წერტილი) სს „სილქნეტი“ წარმოდგენილია 77 გეოგრაფიული მისამართზე.

ცხრილი N 29-ში მოცემულია დასახლებულ პუნქტებს შორის ავტორიზებული პირების მიხედვით ოპტიკური წყვილების რაოდენობის და ტერმინალურ ელემენტების მოცულობების შესახებ ინფორმაცია

ცხრილი N29

A წერტილი	B წერტილი	ავტორიზებული პირი	ოპტიკურ - ბოჭკოვანი კაბელი		ტერმინალური ელემენტები	
			სულ	თავი სუფა ლი	სულ	თავისუფა ლი
აბასთუმანი	ახალციხე	სილქნეტი			1000	815
აბაშა	სამტრედია	სილქნეტი			10000	5360
აგურქარხანა	აბაშა	საქართველოს რკინიგზა	10		1250	
აგურქარხანა	სენაკი	საქართველოს რკინიგზა	10		1250	
ადიგენი	ხულო	სილქნეტი	72	52		
ადიგენი	ახალციხე	სილქნეტი	72	38	1000	472
არგვეთა	ზესტაფონი	საქართველოს რკინიგზა	10		1250	
ასპინძა	ახალციხე	სილქნეტი	72	50	1000	687
ასპინძა	ახალქალაქი	სილქნეტი	72	48		
ახალციხე	ხულო	დელტაკომი	48	0	10000	9900
ახმეტა	თელავი	სილქნეტი	72	68	1000	786
ახმეტა	თიანეთი	სილქნეტი	72	67		
ბათუმი	ხულო	დელტაკომი	48	0	10000	9900
ბათუმი	ფოთი	დელტაკომი			10000	9900
		ფოპტნეტი	24	14	1000	0
ბათუმი	ქობულეთი	დელტაკომი			10000	9900
		კავკასუს ონალიანი			20000	19000
		რკინიგზის ტელეკომი	2		10000	
		სილქნეტი			10000	4357
ბათუმი	სარფი	სილქნეტი	72	24		
ბათუმი	ხელვაჩაური	სილქნეტი	72	39		
ბათუმი	მახინჯაური	საქართველოს რკინიგზა	10		1250	
ბაკურციხე	საგარეჯო	დელტაკომი	48	0	20000	20000
ბაკურციხე	ყვარელი	დელტაკომი	12	0	10000	9900
ბაკურციხე	თელავი	დელტაკომი	21	0	20000	19900
ბაკურციხე	ლაგოდეხი	დელტაკომი	6	0	10000	9900
ბორჯომი	ბაკურიანი	სილქნეტი			1000	651
გარდაბანი	რუსთავი	რკინიგზის ტელეკომი	2		1000	
		სილქნეტი	72	68		
		საქართველოს რკინიგზა	10		1250	

გარდაბანი	მარნეული	სილქნეტი	72	68		
გარდაბანი	ფონიჭალა	საქართველოს რკინიგზა	10		1250	
გაჩიანი	რუსთავი	საქართველოს რკინიგზა	10		1250	
გომი	აგარა	საქართველოს რკინიგზა	10		1250	
გუდაური	სტეფანწმინდა	სილქნეტი	72	53		
გუდაური	დუშეთი	სილქნეტი	72	43		
გურჯაანი	თელავი	სილქნეტი	72	29	10000	9560
გურჯაანი	ყვარელი	სილქნეტი	72	65		
გურჯაანი	წინანდალი	სილქნეტი	24	14	1000	953
გურჯაანი	საგარეჯო	სილქნეტი	72	42	10000	9363
დმანისი	ბოლნისი	სილქნეტი	72	63	10000	9778
დმანისი	გუგუთი (მულანლო)	სილქნეტი	72	66		
ვალე	ახალციხე	სილქნეტი	24	20		
ველი	გაჩიანი	საქართველოს რკინიგზა	10		1250	
ზაქესი	ქსანი	საქართველოს რკინიგზა	10		1250	
ზაქესი	ავჭალა	საქართველოს რკინიგზა	10		1250	
ზუგდიდი	ფოთი	დელტაკომი			10000	8050
ზუგდიდი	ფოპტნეტი		8	4		
ზუგდიდი	სენაკი	დელტაკომი	12	0		0
ზუგდიდი	სენაკი	კავკასუს ონალიანი			10000	9400
ზუგდიდი	სენაკი	სილქნეტი			10000	6320
ზუგდიდი	ანაკლია	კავკასუს ონალიანი			1000	960
ზუგდიდი	ხოზი	სილქნეტი	24	8		
თბილისი	რუსთავი	სილქნეტი	72	64	20000	11533
თბილისი	რუსთავი	რკინიგზის ტელეკომი	2		1000	
თბილისი	რუსთავი	დელტაკომი	24	0	10000	9900
თბილისი	საგარეჯო	სილქნეტი	72	33	10000	8662
თბილისი	საგარეჯო	დელტაკომი	48	0	20000	19550
თბილისი	მარნეული	სილქნეტი			10000	9224
თბილისი	მარნეული	რკინიგზის ტელეკომი	2		1000	
თბილისი	მარნეული	დელტაკომი	12	0	10000	9760
თბილისი	ქანდა	დელტაკომი	48	0	20000	19847
თბილისი	იგოეთი	დელტაკომი	48	0	10000	9900
თბილისი	თელავი	სილქნეტი			20000	6426
თბილისი	თელავი	დელტაკომი			10000	9900
თბილისი	ქუთაისი	სილქნეტი			60000	32681
თბილისი	ქუთაისი	კავკასუს ონალიანი			10000	8000
თბილისი	ქუთაისი	დელტაკომი			10000	6900
თბილისი	ქვიშხეთი	დელტაკომი			10000	9900
თბილისი	წითელი ხიდი	დელტაკომი			10000	9900
თბილისი	ბათუმი	სილქნეტი			80000	37287
თბილისი	ბათუმი	კავკასუს ონალიანი			20000	8000
თბილისი	ფოთი	კავკასუს ონალიანი			20000	9500
თბილისი	სადახლო	კავკასუს ონალიანი			20000	15000
თბილისი	გორი	ფოპტნეტი	8	4	10000	2988

		კავკასუს ონალიანი			20000	15000
თბილისი	ხაშური	სილქნეტი			20000	7090
		კავკასუს ონალიანი			10000	5500
თბილისი	ზესტაფონი	კავკასუს ონალიანი			10000	
თბილისი	სენაკი	კავკასუს ონალიანი			10000	
თბილისი	სამტრედია	სილქნეტი			30000	14864
		კავკასუს ონალიანი			10000	
თბილისი	ზუგდიდი	კავკასუს ონალიანი			10000	
თბილისი	ანაკლია	კავკასუს ონალიანი			10000	
თბილისი	ლანჩხუთი	კავკასუს ონალიანი			10000	
თბილისი	ურეკი	კავკასუს ონალიანი			10000	
თბილისი	ქობულეთი	კავკასუს ონალიანი			10000	
თბილისი	ნატანები	კავკასუს ონალიანი			10000	
თბილისი	ოზურგეთი	კავკასუს ონალიანი			10000	
თბილისი	კასპი	რკინიგზის ტელეკომი	2		20000	
თბილისი	წალკა	სილქნეტი	72	42		
თბილისი	დუშეთი	სილქნეტი	72	46	10000	9184
თბილისი	მცხეთა	სილქნეტი			10000	7304
თბილისი	ახალციხე	სილქნეტი			10000	7658
თბილისი	ახალქალაქი	სილქნეტი			10000	7605
თბილისი	წყნეთი	სილქნეტი			10000	5882
თბილისი	კოჯორი	სილქნეტი			1000	790
თბილისი	გარდაბანი	სილქნეტი			10000	9529
თბილისი	ბოლნისი	ფოპტნეტი	8	2	10000	8000
		სილქნეტი			10000	9186
თბილისი	ავჭალა	საქართველოს რკინიგზა	10		1250	
თბილისი	ველი	საქართველოს რკინიგზა	10		1250	
თერჯოლა	ზესტაფონი	ფოპტნეტი	4	0		
თიანეთი	თელავი	სილქნეტი			1000	880
თიანეთი	დუშეთი	სილქნეტი	72	68		
იგოეთი	გორი	დელტაკომი	48	0		0
იგოეთი	ქვიშხეთი	დელტაკომი	48	0		0
კაზრეთი	ბოლნისი	ფოპტნეტი	4	0		
კასპი	გორი	ფოპტნეტი	2	0		
		რკინიგზის ტელეკომი	2		20000	
კასპი	მცხეთა	სილქნეტი			10000	8438
კასპი	აგარა	საქართველოს რკინიგზა	10		1250	
კასპი	ქსანი	საქართველოს რკინიგზა	10		1250	
კვალთან	სენაკი	საქართველოს რკინიგზა	10		1250	
კვალთან	ჭალადილი	საქართველოს რკინიგზა	10		1250	
კოლობანი	სამტრედია	საქართველოს რკინიგზა	10		1250	
კოლობანი	აბაშა	საქართველოს რკინიგზა	10		1250	
კოპიტნარი	ფოთი	საქართველოს რკინიგზა	10		1250	
კოპიტნარი	ბროწეულა	საქართველოს რკინიგზა	10		1250	
ლანჩხუთი	სამტრედია	სილქნეტი			10000	9381

		რკინიგზის ტელეკომი	2		10000	
		კავკასუს ონალიანი			10000	9500
ლარსი	სტეფანწმინდა	სილქნეტი	72	63		
ლიხი	ხარაგაული (წიფა)	საქართველოს რკინიგზა	10		1250	
ლიხი	მოლითი	საქართველოს რკინიგზა	10		1250	
მარაბდა	ფონიჭალა	საქართველოს რკინიგზა	10		1250	
მარაბდა	მარნეული	საქართველოს რკინიგზა	10		1250	
მარელისი	ხარაგაული	საქართველოს რკინიგზა	10		1250	
მარელისი	მოლითი	საქართველოს რკინიგზა	10		1250	
მარნეული	წითელი ხიდი	სილქნეტი	24	12		
		დელტაკომი	48	0	10000	9900
მარნეული	სადახლო	რკინიგზის ტელეკომი	2		1000	
მარნეული	ბოლნისი	სილქნეტი	72	61		
მარნეული	თეთრიწყარო	სილქნეტი	24	20		
მახინჯაური	ჩაქვი	საქართველოს რკინიგზა	10		1250	
მცხეთა	გორი	სილქნეტი			10000	5337
ნიგოეთი	ლანჩხუთი	საქართველოს რკინიგზა	10		1250	
ნიგოეთი	საჯავახო	საქართველოს რკინიგზა	10		1250	
ნინოწმინდა	ახალქალაქი	სილქნეტი	72	40	10000	8871
ნინოწმინდა	წალკა	სილქნეტი	72	41	10000	9706
ოზურგეთი	ნატანები	კავკასუს ონალიანი			10000	9000
		რკინიგზის ტელეკომი	2		10000	
ოჩხამური	ქობულეთი	საქართველოს რკინიგზა	10		1250	
ოჩხამური	ნატანები	საქართველოს რკინიგზა	10		1250	
რიონი	ბროწეულა	საქართველოს რკინიგზა	10		1250	
რიონი	არგვეთა	საქართველოს რკინიგზა	10		1250	
საჯავახო	სამტრედია	საქართველოს რკინიგზა	10		1250	
სენაკი	ფოთი	დელტაკომი	48	0		0
		რკინიგზის ტელეკომი	2		10000	
		კავკასუს ონალიანი			10000	9800
		სილქნეტი			10000	4616
სენაკი	ზესტაფონი	კავკასუს ონალიანი			10000	9800
სენაკი	სამტრედია	სილქნეტი			10000	3040
		რკინიგზის ტელეკომი	2		10000	
		კავკასუს ონალიანი			10000	9000
სენაკი	ხობი	სილქნეტი	24	10		
სენაკი	აბაშა	სილქნეტი			10000	5860
ურევი	ლანჩხუთი	კავკასუს ონალიანი			10000	9500
		რკინიგზის ტელეკომი	2		10000	
ურევი	ნატანები	კავკასუს ონალიანი			10000	9600
		რკინიგზის ტელეკომი	2		10000	
		საქართველოს რკინიგზა	10		1250	
ურევი	სუფსა	საქართველოს რკინიგზა	10		1250	
ქანდა	გორი	დელტაკომი	48	0	20000	19800
ქარელი	გორი	სილქნეტი			10000	9810
ქედა	ხელვაჩაური	სილქნეტი	72	49		

ქედა	შუახვევი	სილქნეტი	72	53		
ქვიშხეთი	გორი	დელტაკომი	48	0	20000	19800
ქვიშხეთი	ახალციხე	დელტაკომი	96	0	20000	19900
ქობულეთი	ფოთი	დელტაკომი	48	0		0
ქობულეთი	ნატანები	კავკასუს ონალიანი			10000	9000
		რკინიგზის ტელეკომი	2		10000	
ქობულეთი	ლანჩხუთი	სილქნეტი			10000	9289
ქობულეთი	ოზურგეთი	სილქნეტი	72	55	10000	9290

ცხრილი N 29-ში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით ირკვევა, რომ ზონათშორის ტერიტორიულ ერთეულებში ოპტიკურ-ბოჭკოვან ქსელთან და ტერმინალურ ელემენტებთან დაშვების საბითუმო მომსახურების სეგმენტებზე არსებობს საბითუმო მომსახურების მიწოდების ისეთი გეოგრაფიული ერთეულები (ცხრილი N 30) სადაც, მხოლოდ სს „სილქნეტა“ წარმოდგენილი. შესაბამისად, ამ რეგიონებში საბითუმო მომსახურების მიმღებ ავტორიზებულ პირს არ აქვს შესაძლებლობა აღნიშნული მომსახურება მიიღოს სხვა ავტორიზებული პირისგანაც.

ცხრილი N 30

	ოპტიკური წყვილების რაოდენობა		ტერმინალური ელემენტები	
	მხოლოდ სილქნეტი		მხოლოდ სილქნეტი	
	A-წერტილი	B-წერტილი	A-წერტილი	B-წერტილი
1	ადიგენი	ხულო	აბასთუმანი	ახალციხე
2	ადიგენი	ახალციხე	აბაშა	სამტრედია
3	ასპინძა	ახალციხე	ადიგენი	ახალციხე
4	ასპინძა	ახალქალაქი	ასპინძა	ახალციხე
5	ახმეტა	თელავი	ახმეტა	თელავი
6	ახმეტა	თიანეთი	ბორჯომი	ბაკურიანი
7	ბათუმი	სარფი	გურჯაანი	თელავი
8	ბათუმი	ხელვაჩაური	გურჯაანი	წინანდალი
9	გარდაბანი	მარნეული	გურჯაანი	საგარეჯო
10	გუდაური	სტეფანწმინდა	დმანისი	ბოლნისი
11	გუდაური	დუშეთი	თბილისი	დუშეთი
12	გურჯაანი	თელავი	თბილისი	მცხეთა
13	გურჯაანი	ყვარელი	თბილისი	ახალციხე
14	გურჯაანი	წინანდალი	თბილისი	ახალქალაქი
15	გურჯაანი	საგარეჯო	თბილისი	წყნეთი
16	დმანისი	ბოლნისი	თბილისი	კოჯორი
17	დმანისი	გუგუთი	თბილისი	გარდაბანი
18	ვალე	ახალციხე	თიანეთი	თელავი
19	ზუგდიდი	ხობი	კასპი	მცხეთა
20	თბილისი	წალკა	მცხეთა	გორი
21	თბილისი	დუშეთი	ნინოწმინდა	ახალქალაქი
22	თიანეთი	დუშეთი	ნინოწმინდა	წალკა
23	ლარსი	სტეფანწმინდა	სენაკი	აბაშა

24	მარნეული	ბოლნისი	ქარელი	გორი
25	მარნეული	თეთრიწყარო	ქობულეთი	ლანჩხუთი
26	ნინოწმინდა	ახალქალაქი	ქობულეთი	ოზურგეთი
27	ნინოწმინდა	წალკა	ქუთაისი	წყალტუბო
28	სტეფანწმინდა	დუშეთი	ყვარელი	თელავი
29	სენაკი	ხობი	ყვარელი	ლაგოდეხი
30	ქედა	ხელვაჩაური	ხარაგაული	ზესტაფონი
31	ქედა	შუახევი	ხაშური	ბორჯომი
32	ქობულეთი	ოზურგეთი	ხაშური	ქარელი
33	ყვარელი	ლაგოდეხი	ხაშური	ხარაგაული
34	შუახევი	ხულო	წნორი	სიღნაღი
35	წნორი	სიღნაღი	წნორი	დედოფლისწყარო
36	წნორი	დედოფლისწყარო	წნორი	საგარეჯო
37	წნორი	საგარეჯო	სტეფანწმინდა	დუშეთი
სს "სილქნეტი" სხვა ერთ ავტორიზებულ პირთან ერთად (ოპტიკური წყვილი)			სს "სილქნეტი" სხვა ერთ ავტორიზებულ პირთან ერთად (ტერმინალური ელემენტები)	
თბილისი		საგარეჯო	ზუგდიდი	სენაკი
მარნეული		წითელი ხიდი	თბილისი	საგარეჯო
			თბილისი	თელავი
			თბილისი	ბათუმი
			თბილისი	ხაშური
			თბილისი	სამტრედია
			თბილისი	ბოლნისი
			ჭიათურა	ზესტაფონი
			ჭიათურა	საჩხერე

აღნიშნული კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა არა მარტო ქალაქებს შორის მაგისტრალური არხებთან და ტერმინალურ ელემენტებთან დაშვების საკითხი, არამედ ასევე გამოკვლეულ იქნა ქალაქის/დასახლებული პუნქტის შიგნით („ადგილობრივ ზონაში“) ოპტიკურ ბოჭკოვან კაბელებთან და ტერმინალურ ელემენტებთან დაშვების ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე არსებული კონკურენტული მდგომარეობა. ბაზრის ანალიზისას განხილული იქნა მხოლოდ ის ქალაქი სადაც ერთი ავტორიზებული პირის საკუთრებაში ორი ან ორზე მეტი დაშვების წერტილია განთავსებული. აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით ბაზრის ანალიზის მიზნებისთვის გამოიყო: **თბილისი, რუსთავი, ბათუმი და ფოთი.**

ცხრილი N31-ში და ცხრილი N32-ში მოცემულია ოპტიკურ-ბოჭკოვან ქსელთან და ტერმინალურ ელემენტებთან დაშვების საბითუმო მომსახურების სეგმენტებზე ისეთი გეოგრაფიული ერთეულები სადაც, მხოლოდ სს „სილქნეტია“ წარმოდგენილი. შესაბამისად, ასეთ ადმინისტრაციულ ერთეულებში საბითუმო მომსახურების მიმღებ ავტორიზებულ პირს არ აქვს შესაძლებლობა აღნიშნული მომსახურება მიიღოს სხვა ავტორიზებული პირისგანაც.

ქ. თბილისი

ცხრილი N31

ოპტიკური წყვილები		ტერმინალური ელემენტები
მხოლოდ სილქნეტი		მხოლოდ სილქნეტი
A-წერტილი	B-წერტილი	
გლდანი	გლდანულა	აეროპორტი
გლდანი	საბურთალო	ბაგები
ისანი	ვაზისუბანი	ფონიჭალა
ისანი	მთაწმინდა	წყნეთი
ისანი	ჩუღურეთი	
კოჯორი	წყნეთი	
ლილო	ჩუღურეთი	
ორთაჭალა	ფონიჭალა	

ქ. ბათუმის, ქ. ფოთის, ქ. რუსთავის და ქ. ქუთაისის ადგილობრივი დაშვების ზონები

ცხრილი N32

	ოპტიკური წყვილები		ტერმინალური ელემენტები
	მხოლოდ სილქნეტი		მხოლოდ სილქნეტი
	A-წერტილი	B-წერტილი	
ბათუმი	ATS 2/7	ხიმშიაშვილი	ATS2/7
	ATS 2/7	ლერმონტოვი	ბენზე (თამარის დასახლება)
	ATS 2/7	ბენზე (თამარის დასახლება)	ხელვაჩაური
	ATS 2/7	მწვანე კონცხი	
	აღმაშენებელი	ლერმონტოვი	
	აღმაშენებელი	ხიმშიაშვილი	
	აღმაშენებელი	ხელვაჩაური	
ფოთი	წმ. გიორგის 12	გატანილი სადგური 1	
	წმ. გიორგის 12	გატანილი სადგური 2	
	წმ. გიორგის 12	გატანილი სადგური 3	
რუსთავი	ATS14	რკინიგზის სადგური	ATS14
	ATS14	მეგობრობა. ATS12	
ქუთაისი	საფიჩხია	ბუხაიძე	
	სალორია	სატელევიზიო ანძა (გორა)	
	ჭავჭავაძე	ბუკია	

სს „სილქნეტი“ ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან, მაგისტრალურ არხებთან და ტერმინალურ ელემენტებთან დაშვების მომსახურებებს სხვა ავტორიზებულ პირებს აწვდის ერთიანი მომსახურების პაკეტის სახით. შესაბამისად, თუ სხვა ავტორიზებულ პირს საკუთარი მაგისტრალური არხები და/ან ტერმინალური საშუალებები არ აქვს, მას საბითუმო მომსახურებების სხვადასხვა მომწოდებლებისაგან მიღების შესაძლებლობა არ გააჩნია.

ზემოაღნიშნული რისკების გათვალისწინებით, ვერტიკალურად ინტეგრირებული სტრუქტურის ქსელის მფლობელის - სს „სილქნეტის“ მიერ საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების რისკის შესამცირებლად კონკურენციის უზრუნველყოფის მიზნით უნდა დაეკისროს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სპეციფიკური ვალდებულებები.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-4 ქვეპუნქტის მიხედვით „კომისია უფლებამოსილია თანხმობის გაცემის შემთხვევაში მოსთხოვოს შერწყმის შედეგად ჩამოყალიბებულ ავტორიზებულ პირს ან საოპერაციო აქტივის შემძენ ავტორიზებულ პირს შემდგომ საქმიანობაში ისეთი ქმედებების განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფს მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე კონკურენციის შენარჩუნებას“.

სს „სილქნეტის“ განმარტებით კომპანიას ესაჭიროება ..... თვე იმისათვის, რომ უზრუნველყოს მის მიერ სხვა ავტორიზებულ პირებთან უკვე არსებული ხელშეკრულებების პირობების გადახედვა და შესაბამისად კომისიის წინამდებარე გადაწყვეტილებასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიას მიაჩნია, რომ სს „სილქნეტის“ მიერ შპს „ჯეოსელის“ წილის 100 პროცენტის შეძენის შემთხვევაში სს „სილქნეტს“ ოპტიკურ-ბოჭკოვან მაგისტრალურ არხებთან დაშვების მომსახურების და მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვების მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე ყველა იმ გეოგრაფიულ ზონაში, სადაც საქმიანობს სს „სილქნეტი“ უნდა დაეკისროს შემდეგი სპეციფიკური ვალდებულებები:

- ა) ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ვალდებულება;
- ბ) ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულება;
- გ) დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება.

კომისიამ მიიჩნია, რომ სს „სილქნეტზე“ ზემოაღნიშნული ვალდებულებების დაკისრების გათვალისწინებით არ არსებობს შპს „ჯეოსელის“ წილის 100 პროცენტის სს „სილქნეტის“ მიერ შეძენაზე წინასწარი თანხმობის მიცემის დამაბრკოლებელი გარემოებები.

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე, 26-ე და 27-ე მუხლების შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა სს „სილქნეტს“, შპს „ჯეოსელის“ წილის 100 პროცენტის შეძენაზე;

2. სს „სილქნეტმა“ და შპს „ჯეოსელმა“ მომსახურების წესისა და პირობების ნებისმიერ ცვლილებების თაობაზე შეატყობინონ მომხმარებლებს და კომისიას ცვლილებების განხორციელებამდე ერთი თვით ადრე;

3. სს „სილქნეტის“ მიერ შპს „ჯეოსელის“ წილის 100 პროცენტის შეძენის შემთხვევაში, სს „სილქნეტს“: ა) ზონათშორის ოპტიკურ-ბოჭკოვან მაგისტრალურ არხებთან დაშვების მომსახურების; ბ) ადგილობრივ ზონაში ოპტიკურ-ბოჭკოვან მაგისტრალური არხებთან დაშვების მომსახურების; გ) ადგილობრივ ზონაში მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვების მომსახურების; და დ) ზონათშორის მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვების მომსახურების სეგმენტებზე დაეკისროს შემდეგი სპეციფიკური ვალდებულებები:

ა) ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ვალდებულება შემდეგი კონკრეტული პირობებით: უზრუნველყოს სს „სილქნეტმა“ ზემოაღნიშნული საბითუმო მომსახურებების მსურველი ავტორიზებული პირისათვის საკუთარი ქსელის შესაბამის ელემენტებთან და ტექნიკურ საშუალებებთან შეუზღუდავი, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული დაშვება.

ბ) დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება შემდეგი კონკრეტული პირობებით: უზრუნველყოს სს „სილქნეტმა“ ზემოაღნიშნული საბითუმო მომსახურებების მსურველი ავტორიზებული პირისათვის მომსახურების მიწოდება იმგვარი არადისკრიმინაციული და ერთგვაროვანი პირობებით (მათ შორის ტარიფებით, ხარისხით, მიწოდების ვადებით), რომლებიც არანაკლებ ხელსაყრელია, ვიდრე საკუთარი სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის, აფილირებული ან/და სხვა ავტორიზებული პირებისათვის.

გ) ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულება შემდეგი კონკრეტული პირობებით: სს „სილქნეტმა“ საჯაროდ გამოაქვეყნოს ზემოაღნიშნული საბითუმო მომსახურებებისთვის შეთავაზების წინადადება (მოწვევის ოფერტი).

მოწვევის ოფერტაში ასახული უნდა იქნეს მომსახურებების მიწოდების არსებითი პირობები.

4. დაევალოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს ამ გადაწყვეტილების სს „სილქნეტისთვის“ და შპს „ჯეოსელისთვის“ გაგზავნა;

5. გადაწყვეტილება ძალაში შედის კომისიის მიერ ამ გადაწყვეტილების გადაწყვეტილების სს „სილქნეტისთვის“ და შპს „ჯეოსელისთვის“ ჩაბარების დღიდან;

6. გადაწყვეტილების მესამე პუნქტი ამოქმედდეს სს „სილქნეტის“ მიერ შპს „ჯეოსელის“ წილის 100 პროცენტის შეძენიდან სამი თვის ვადაში;

7. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი, ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში;

8. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტს (დ.გოგიჩაიშვილს).